

უილიამ შექსპირი

**იულიუს კეისარი
მეფე ლირი
მაკბეთი**

ინგლისურიდან თარგმნა
მანანა ანთაძემ

ტრაგედიები
I



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2017

მსკბმთი

მოქმედი პირნი

| | |
|---|--|
| დანკანი | სკოტლანდიის მეფე |
| მალკოლმი დონალბეინი | მისი შვილები |
| მაკბეთი ბენკო | მეფის არმიის სარდლები |
| მაკდაფი ლენოქსი მენტითი როსი ენგუსი კეითნესი | სკოტლანდიელი დიდებულები |
| ფლიენსი სიუარდი ახალგაზრდა სიუარდი სეიტონი მაკდაფის ვაჟიშვილი ინგლისელი ექიმი. სკოტლანდიელი ექიმი. მეომარი. მეკარე. მოხუცი კაცი. | ბენკოს ვაჟიშვილი ნორთამბერლენდის გრაფი, ინგლისის ჯარის სარდალი მისი ვაჟიშვილი კაპიტანი, მაკბეთის მხლებელი |

**ლედი მაკბეთი
ლედი მაკდაფი
ლედი მაკბეთის სეფექალი
ჰეკატე და სამი კუდიანი**

დიდებულები, ჯარისკაცები, მკვლელები, შიკრიკები.
ბენკოს აჩრდილი და სხვა მოჩვენებები

*მოქმედება ხდება სკოტლანდიაში, ძირითადად მაკბეთის ციხე-კოშკში,
მეოთხე მოქმედების ბოლო სცენა - ინგლისში.*

პირველი მოქმედება

სურათი I

*გაშლილი სივრცე. ქუჩს და ელავს
შემოდის სამი კუდიანი*

პირველი კუდიანი

ჩვენ სამნი, ისევ როდის შევხვდებით,
როცა იქუხებს თუ გაწვიმდება?

მეორე კუდიანი

როცა ამათი ომი მორჩება!
მოგებ-წაგება ცხადი გახდება!

მესამე კუდიანი

ეგ მზის ჩასვლამდე უკვე მოხდება!

პირველი კუდიანი

სად ვიკრიბებით?

მეორე კუდიანი

იმ გაშლილ ველზე.

მესამე კუდიანი

მაკბეთს იქ შევხვდეთ!

პირველი კუდიანი

მოვდივარ, ფისო!

მეორე კუდიანი

გომბეშოც მიხმობს!

მესამე კუდიანი

ჰო, მეც მოვფრინავ!

ერთად

ბნელი ნათელია, ნათელში ბნელა.

ამ დამპალ ნისლში დავფრინავთ ყველა.

კუდიანები გაქრებიან

სურათი II

ბანაკი ფორესთან ახლოს. შორიდან მოისმის

საბრძოლო საყვირის ხმა.

შემოდიან: მეფე დანკანი, მალკოლმი, ღონაღბენი, ლენოქსი და

მათი მხლებლები.

დაინახავენ დაჭრილ მეომარს

დანკანი

მძიმედ დაჭრილა, სისხლი მოსდის. ნეტავ ვინ არის?

სწორედ ეს გვეტყვის აჯანყების უახლეს ამბავს.

მალკოლმი

ამ კაპიტანმა, ვით შეჰფერის ერთგულ ჯარისკაცს,

მტრისგან დამიცვა, ტყვედ ჩავარდნას გადამარჩინა!

ჩემო მამაცო მეგობარო, უამბე მეფეს,

რა ხოცვა-ჟლეტას შეესწარი შენ ბრძოლის ველზე.

მეომარი

სათუო იყო ჯერ თავიდან სუყველაფერი.

თითქოსდა ორი მოცურავე, ქანცგაწყვეტილი,

ჩაებლაუჭა და ახრჩობდა ერთიმეორეს.

მოულოდნელად, იმ მაკონოლოდს, აჯანყების თავს,

და სახელგანთქმულს სისასტიკით (ბუნებამ მისცა,

რაც რამ გააჩნდა სისაძაგლე), წამოეშველენ

ირლანდიელნი, დასავლეთის კუნძულებიდან.

კაცს ბედი წყალობს! სულ უდიმის, როგორც მეძავი,

თავის საყვარელს, თუმც ამჯერად ვერ უშველიდა,

რაკი მეტოქედ გამოუჩნდა გმირი მაკბეთი.

მას ამ სახელით (თან შეჰფერის!) იხსენიებენ.

შეეჭიდება, თუ ინდომა, თვით ბედისწერას!
ელვის სისწრაფით ტრიალებდა მაკბეთის ხმალი,
ისე რომ სისხლი, გაცივებას ვერც კი ასწრებდა.
კაფავდა ყველას, დაეძებდა იმ მოლაღატეს.
როცა იპოვა, არც სალამი და არც ნახვამდის,
ტანი შუაზე გადაუპო, ხოლო თავი კი,
ზედ ჩვენი კოშკის მაღალ წვერზე თვითონ დაარჭო.

დანკანი

ჩემო მამაცო ნათესავო! ღირსო რაინდო!

მეომარი

მაგრამ იქ, სადაც დიდებული მზე აღმოხდება,
ჭექა-ქუხილი და გრიგალი წამსვე გაჩნდება!
ჩვენ რომ გვეგონია, გაზაფხულადა, სიმშვიდე მოვა,
პირიქით ხდება, ყველაფერი მაშინ ირევა.
ამით რას ვამბობ, დიდო მეფევე სკოტლანდიისა!
სამართალმა და, ცხარე ბრძოლამ, რომ თავისი ქნა,
ირლანდიელნი კისრისტეხით როცა გარბოდნენ,
მაშინ გამოჩნდა სწორედ მეფე ნორვეგიისა.
ახალ ძალასთან, სამწუხაროდ, უცებ აღმოჩნდნენ!

დანკანი

მაკბეთ და ბენკო მაგ ამბავმა ხომ არ დააფრთხო?

მეომარი

როგორც ბელურა აფრთხობს არწივს, ან ლომს კურდღელი!
რაც შემდეგ მოხდა, უფრო ზუსტად ასე ვიტყვოდი:
თითქოს ზარბაზანს გამოეხება მეორე ლულა!
ორმაგი დარტყმა პასუხობდა ყველა თავდასხმას.
მგონი უნდოდათ, იმათ სისხლში განბანილიყვენენ,
ან უკვდავყოფდნენ სხვა გოლგოთას. ველარას ვამბობ,
გონებას კკარგავ, ჩემს ჭრილობებს შეველა სჭირდება...

დანკანი

ეგ ჭრილობებიც ისე გამკობს, ვით საუბარი,
რადგან ორივე დასტურია შენი ღირსების.
ექიმი ჩქარა!

*მეომარი და მხლებლები ვადიან
შემოდის როსი*

მალკოლმი

ღირსი თენი როსი მობრძანდა!

ლენოქსი

ისე სწრაფად და აღელვებით მოეშურება,
ამბავი მოაქვს!

როსი

ღმერთი იყოს მეფის მფარველი!

დანკანი

შენ სად ყოფილხარ, ღირსო თენო?

როსი

ფაიფში, მეფევე,
სადაც იმდენ ხანს იფრიალეს ნორვეგეთ დროშებმა,
რომ მათმა ქროლვამ, ჩვენს ხალხს, ლამის სურდო შეჰყარა!
რიცხვით უთვალავ, კარგად გაწვრთნილ, ნორვეგიულ ჯარს,
მყისვე მიემხრო მუხანათი თენი კოვდორის.
მერე გაჩაღდა ცხარე ბრძოლა, ვიდრე მაკბეთმა,
ო, რა საქმროა ომის ქაღალდმერტ ბელონასათვის,
იმ მოღალატეს საკადრისად არ უპასუხა.
პირისპირ, მედგრად შეუტია ხელჩართულ ომში.
დასრულდა იმით, საბოლოოდ, რომ გავიმარჯვეთ!

დანკანი

ყოჩაღ!

როსი

და სვენო, ნორვეგთ მეფე, დაზავებას გვთხოვს.
მანამ არ დავრთეთ დახოცილთა დამარხვის ნება,
ვიდრე არ მოგვცა მან დოლარი ათი ათასი!

დანკანი

კოვლორის თენი ველარასდროს ვერ გვიღალატებს.
შენ ახლა წადი. განაცხადე, რომ სიკვდილით ვსჯი.
მისი წოდება, მაკბეთს დარჩეს.

როსი

როგორც მიბრძანებთ.

დანკანი

რაც მან დაკარგა, ის მაკბეთმა დაიმსახურა.
ვაღის

სურათი III

მინდორი. ჭექა-ჭუხილი. შემოდის სამი კუდიანი

პირველი კუდიანი

ჩემო დაიკო, სად ბრძანდებოდი?

მეორე კუდიანი

ღორებს ვხოცავდი.

მესამე კუდიანი

შენ სად იყავი?

პირველი კუდიანი

მეზღვაურის ცოლს წაბლი ეყარა
კაბის კალთაში და ხარბად ჭამდა.
ჭამდა და ჭამდა. „მეც მომე“, ვთხოვე.
გამეცალე, შე კუდიანო,
მიპასუხა იმ ლეშით გაზრდილმა.

მაგის ქმარს გემი „ვეფხვი“ ჰყავს,
ალეპოსაკენ მიცურავს.

მე საცერში ჩავევლები,
უკან გავვლევენები.
რა ბოროტი გავხდები!
ო, რას ვუზამ! რას ვუზამ!

პირველი კუდიანი
ჩემს ქარს გათხოვებ.

მეორე კუდიანი
გმაღლობ კეთილო!

მესამე კუდიანი
ჩემიცი წაიღე!

პირველი კუდიანი
სხვებიც ბევრი მაქვს!

იმ გემს პორტში შესვლამდე
ქარიშხალი ეწვევა.
ისე დაატრიალებს
საშველი არ ექნება.
შვიდი დღე, შვიდი ღამე
ხელი ვერ გაანძრიოს,
ფეხი ვერ გაანძრიოს,
დღისით ძილი დაკარგოს,
ღამით ძილი დაკარგოს,
ჩამოჭენეს და გამოშრეს,
ჩალასავით გამოხმეს.
ცხრაჯერ ცხრა კვირა გავა,
სული მერე ამოხდეს!
მისი გემი გადარჩეს.
თუ სურს, ქარიშხალს დარჩეს.
ნახეთ, რა მაქვს!

მეორე კუდიანი

რა გაქვს, რა გაქვს?

პირველი კუდიანი

ერთი ლოცმანის ცერია,
საბრალო, შინ ვერ დაბრუნდა,
ცოცხლებში აღარ წერია.

დაფლაფების ხმა

მოღის მაკბეთი! დაფლაფებია!

ერთად

ყველგან ერთად დავდივართ უცნაური დები.
ბელისწერის მაცნენი ხმელეთის და ზღვების.
დავტრიალდეთ, წრეზე, სწრაფად! მიდი, მიდი! მიდი!
სამი ბრუნი უკულმა, სამი ბრუნი წალმა!
გასამდა და ცხრა გახდა. გრძნება უკვე გაჩნდა!

შემოდიან მაკბეთი და ბენკო

მაკბეთი

ასე ნათელი, ასე ბნელი, დღე არ მინახავს!

ბენკო

კიდევ შორია ფორესამდე? ეს ჯოჯოები
საიდან გაჩნდნენ, ვინ არიან, როგორ მორთულან!
ადამიანი არ მგონია, თუმცა კი გვანან.
არ იტყვით, ვინ ხართ? ცოცხლები ხართ? ვხედავ, რომ გესმით.
ერთად მიიღეთ თხელ ტუჩებზე გამხმარი თითი.
წვერი გაქვთ მაგრამ, ქალები ხართ? ველარ გავიგე.
ველარაფერი...

მაკბეთი

თქვით, ვინა ხართ! ხმა ამოიღეთ!

პირველი კუდიანი

სალამი მაკბეთს, გლამზის თენს!

მეორე კუდიანი

სალამი მაკბეთს, კოვდორის თენს!

მესამე კუდიანი

სალამი მაკბეთს, მომავალ მეფეს!

ბენკო

რა დაგემართა, აკანკალდი თითქოს შიშისგან.
განა რა ვითხრეს, კარგის მეტი? ეი, ვინა ხართ,
მოჩვენება ხართ? აჩრდილები? თუ სულიერი?
ამ ჩემს მეგობარს ჯერ მიმართეთ მისი წოდებით.
მერე უთხარით მომავალში რა ელოდება,
მეფე გახდება?! გვირგვინს იდგამს?! სიხარულისგან
კაცი გაოგნდა. მე რას მეტყვიით? ჩემზე რა იცით?
რომელი თესლი გალივდება, წინასწარ ხედავთ?
მაინტერესს, რა მომელის. ხვეწნა-მუდარას
სულ არ ვაპირებ და არაფრის არ მეშინია.

პირველი კუდიანი

სალამი!

მეორე კუდიანი

სალამი!

მესამე კუდიანი

სალამი!

პირველი კუდიანი

მაკბეთზე მცირეკ და მასზე დილო!

მეორე კუდიანი

ბედნიერიო შენზე არ ითქმის,
მაგრამ მაინც ხარ, მაკბეთზე მეტად!

მესამე კუდიანი

შენი შვილები გამეფდებიან,

თუმცა კი მეფე შენ არ იქნები.
დიდება მაკბეთს! დიდება ბენკოს!

პირველი კუდიანი

დიდება ბენკოს! დიდება მაკბეთს!

მაკბეთი

გამაგებინეთ აბა კარგად, რას ლაპარაკობთ!
როცა სინელი, მამაჩემი, გარდაიცვალა,
გლამზის თენობა მე მივიღე. ეს მართალია!
კოვლორის თენი საიდან ვარ?! კოვლორს ჰყავს თენი
და ის ჯენტლმენი, ჯერჯერობით, ჯანმრთელად არის.
ჩემი მეფობაც, ზუსტად ისე, არის სარწმუნო,
როგორც კოვლორის თენობაა! მომავალს ხედავთ?!
ნეტავ რას ბოდავთ. სჯობს გვითხარით, ამ ტიალ ველზე
გზას რატომ გვიჭრით. აქ რა ხდება, გაგვაგებინეთ!

კუდიანები ქრებიან

ბენკო

მიწაზეც თურმე, როგორც წყალში, არის ბუშტები.
ბუშტები იყვნენ. გაიფანტნენ. გაუჩინარდნენ!

მაკბეთი

მოჩვენებითად ხორციელნი! გადაჰაერდნენ!
ვით ამოსუნთქვა, ისე გაქრნენ, ქარს შეუერთდნენ.
ცოტა ხანს კიდევ ყოფილიყვნენ...

ბენკო

მართლა ვნახეთ თუ,
ბალახმა ტვინი დაგვიბინდა და მოგველანდა!

მაკბეთი

შენი შვილები ტახტზე ავლენ?!

ბენკო

შენ გამეფდები?!

მაკბეთი

კოვლორის თენი უნდა გავხდე?! ასე არა თქვეს?

ბენკო

ზუსტად მასე თქვეს. სიტყვასიტყვით. აქეთ მოდიან!

შემოდინ როსი და ენგუსი

როსი

მეფე ისმენდა, უდიდესი სიამოვნებით,
შენი გმირობის ამბებს, მაკბეთ! როცა უამბეს,
ამბოხებულთა წინააღმდეგ როგორ ირძოდი,
მას დაუფულა გაოცება და აღტაცება!
დღემ დაღამება ვერ მოასწრო, მოვიდა ცნობა,
რომ ახლა უკვე, შეუტეე, ნორვეგთა ლაშქარს.
ფეხდაფეხ სდევდი, შეუპოვრად, სიკვდილის ლანდებს!
მაცნეს ზედიზედ მოჰყვებოდა ახალი მაცნე.
წვრილად მოუთხრეს, ვით იხსენი ჩვენი სამეფო.
არ ილგოდა შენი ქება!

ენგუსი

ჩვენ გამოგვეზავნეს,
რათა გითხრათ, რომ მეფე თქვენი მადლიერია!
ახლა წარგადგენთ მის წინაშე, ეს დაგვაგალებს,
სხვა არაფერი.

როსი

ამასთანავე, თქვენ მოგაგეს დიდი პატივი!
კოვლორის თენი უწოდეო, ასე მიბრძანა!
ყველაზე უფრო ღირსეული თენებთა შორის
უკვე თქვენა ხართ!

ბენკო

კუდიანებს მართალი უთქვამთ!

მაკბეთი

კოვლორის თენი ცოცხალია, სალ-სალამათი.
მე არ მჭირდება ნათხოვარი ტანისამოსი!

ენგუსი

ჯერ ცოცხალია, ის, ვინც იყო, კოვდორის თენი!
ბრალად ედება უმძიმესი დანაშაული
და ამისათვის, უნდა მალე პასუხი აგოს.
ნორვეგთა ჯართან შეკრულია იგი აშკარად,
თუ დაეხმარა დაფარულად მეამბოხეებს,
ეს მე არ ვიცი. სჩადიოდა იქნებ ორივეს,
თავისი ქვეყნის წინააღმდეგ. მხოლოდ ის ვიცი,
რომ მან ღალატი აღიარა. ახლა სიკვდილით
უნდა დასაჯონ.

მაკბეთი

გლამზისა და კოვდორის თენი!
მთავარი წინ გვაქვს! – დიდად გმადლობთ შეწუხებისთვის –
არც ახლა გჯერა, ტახტზე ავლენ შენი შვილები!
თენობა მითხრეს მე კოვდორის! შენ კი მიიღე
დაპირება არანაკლები!

ბენკო

იმათ თუ ვენდეთ,
ისიც კი გითხრეს, რომ შენ მალე მეფე იქნები,
გარდა კოვდორის თენობისა! უცნაურია!
გამიგონია, ხშირად უთქვამთ, ბევრჯერ მომხდარა,
იმ ბნელეთიდან საგანგებოდ მოგ ზავნილები,
როცა ცდილობენ, სამუდამოდ ხელში ჩაგიგდონ,
რალაც სიმართლეს გიცხადებენ და სწორედ ამით,
მწარედ ვტყუვდებით. თავს საშინელ საფრთხეში ვიგდებთ!
– თქვენთან საქმე მაქვს, ბატონებო!

მაკბეთი

ორი სიმართლე
ჯერ პროლოგია, საზეიმო! მონარქის თემაც
უნდა აჟღერდეს! ბატონებო, მადლობას ვიძღვნი!
ალბათ არ არის ზებუნებრივ ძალთა ჩარევა,
ცუდი მოვლენა, თავისთავად, მაგრამ კარგია?!

თუ ცუდი არის, როგორ ავხსნათ, ასე კარგად რომ უკვე ასრულდა. აჰა, გავხდი კოვდორის თენი! და თუ კარგია, რატომ მაფრთხობს ამაზე ფიქრი? ლამის მკურდიდან ამოვარდეს ეს მშვიდი გული. ნეკნებს ეხლება, ისე ფეთქავს. თმაც ყალყზე მიდგას. ავი განზრახვა შიშზე უფრო მძიმე ყოფილა. სულ ერთი წამით გამიელვა, უნდა მოკლაო. ამ გაფიქრებამ საშინელი თავზარი დამცა. ძალა წამართვა, წინდაწინვე. სინამდვილეში ხომ არ მომხდარა არაფერი

ბენკო

ფიქრებს გაუყვა!

მაკბეთი

ბელმა ისურვა მეფე გავხდე? მაშინ ამაზე, თავად იზრუნოს. არაფერში არ ჩავერევი.

ბენკო

ჩვენს მაკბეთს ერგო ეს-ეს არის, დიდი პატივი. და ვერ მოირგო, ვით სამოსი, რომლის ტარება საჭიროა, მაგრამ იცი, რომ შენთვის ცოტა უცნაურია.

მაკბეთი

მაინც მოხდება მოსახლენი, ვერ შეაჩერებ!

ბენკო

შენ გელოდებით ჩვენ ყველანი!

მაკბეთი

ბოდიშს მოგიხდით!

ველარ დავუსხლტი მე რატომღაც ფიქრთა ტყვეობას. მაღლობელი ვარ, ბატონებო, თქვენი მე დიდად. აქ ჩავინიშნავ ყოველივეს და დღე არ გავა, არ გავინსენო. მეფე მიხმობს! უნდა წავიდე!

ბენკოს

როცა მოვიცლით, ერთად დავსხდეთ, და გავიხსენოთ,
რათა გავერკვეთ, რა გადაგვხდა

ბენკო

სიამოვნებით.

მაკბეთი

დროს დაველოდოთ. – მეგობრებო, აბა წავედით!

კადიან

სურათი IV

ფორესი. ოთახი სასახლეში.

*ფანფარები. შემოდიან: დანკანი, მალკოლმი, ღონალობენი,
ლენოქსი და მხლებლები*

დანკანი

კოვლორის თენი თუ დასაჯეს? ჯერ არ მოსულან,
ვისაც ეს საქმე დავავალე?

მალკოლმი

არა, ისინი

ჯერ არსად სჩანან. თუმც მეფეო, ახლახანს ვნახე
მე ერთი კაცი, ვინც დაესწრო სიკვდილით დასჯას.
ბოლო წამს თენმა აღიარა თურმე ღალატი
და მძიმე ცოდვა მან გულწრფელად მოინანია.
თქვენს მოწყალებას პატიება, შენდობა სთხოვა.
ის ღირსეულად განეშორა ამ წუთისოფელს.
მთელი სიცოცხლე თითქოს იმად იმეცადინა,
რომ შეძლებოდა, რაც გააჩნდა, უძვირფასესი,
მოესროლა, ვით უსარგებლო, უბრალო ნივთი

დანკანი

კაცის სახეზე ვერასოდეს ამოიკითხავ,
რა უღევს გულში. ვენდობოდი მას ყველაფერში,
ეჭვი არ მქონდა. ო, ღირსეულო ნათესავო!

შემოდიან მაკბეთი, ბენკო, როსი და ენგუსი

ახლა ვიგრძენი, ცოდვასავით მძიმე ყოფილა
თუ სათანადოდ ვერ პასუხობ ვინმეს ამაგზე!
მიქრიხარ ისე, რომ ფრთამალი სიტყვა მადლობის
ვერ დაგაწიე. ნეტავ ღვაწლი გქონდეს ნაკლები,
ანდა შემეძლოს შევუწონო მას ჩემი ჯილდო.
ნუთუ ოდესმე გადავიხდი მე შენს სიკეთეს!

მაკბეთი

ჩემი ვალია თავდადება და ერთგულება.
სწორედ ეს არის საზღაური. ჩვენი მეფე ხარ!
ჩვენ სახელმწიფოს, ტახტს და გვირგვინს ვემსახურებით.
გემართებს პატივით, როგორც მამას, უანგაროდ
გასიამოვნოთ.

დანკანი

კეთილი იყოს შენი მოსვლა!
ჩემი ნერგი ხარ. მე ვიზრუნებ, რომ გაძლიერდე,
ნაყოფი მომცე, სასიკეთო! ძვირფასო ბენკო,
დაიმსახურე შენც მადლობა არანაკლები.
შენც ხომ ერთგულად მემსახურე! მომიახლოვდი,
გულში ჩაგიკრა სიყვარულით.

ბენკო

რომ გავიფურჩქნო?
ნაყოფს მეც მოგცემ. მოსავალი უხვი გექნება!

დანკანი

მართლაც უხვი მაქვს სიხარული, იმდენად ბევრი,
ასე მგონია, რომ სულ ცოტა ცრემლი სჭირდება.
ჩემო შვილებო, მეგობრებო და ახლობელნო,
ტახტის მემკვიდრედ, გადავწყვიტეთ, გამოვაცხადოთ,

ჩვენი უფროსი ვაჟი მალკოლმი. მისი წოდება,
უკვე დღეიდან, არის პრინცი კამბერლენდისა!
არვის ეგონოს, ეს დიდება, მხოლოდ მისია.
ვით ვარსკვლავების ელვარება, მოეფინება
სხვებსაც თანაბრად, ვინც პატივის ღირსი იქნება.
ახლა კი დროა, გავეშუროთ ინვერნესისკენ.
შენთან, ოჯახში ჩვენი მტკიცე კავშირი შევკრათ!

მაკბეთი

მაშინ მივხედავ მე ჩემს საქმეს. უნდა ვიჩქრო!
გავეშურობი შინისაკენ და ცოლს ვახარებ,
ჩვენთან სტუმრობა რომ ისურვეთ.

დანკანი

ღირსო კოვდორო!

მაკბეთი

თავისთვის

მემკვიდრე პრინცი კამბერლენდის! ეს გზაზე ისე
გამომეჩხირა, რომ ნამდვილად ზედ წავიქცევი.
უნდა როგორმე მოვახერხო და გადავახტე.
შუქი გამორთეთ, ვარსკვლავებო! ამ შავბნელ ფიქრებს
ეგ განათება არ სჭირდება. თან ჩემს ხელებსაც,
თქვენი თვალები მოარიდეთ. თუმც სულერთია!
მოხდეს, რისიც თვალს ეშინია!

გადის

დანკანი

მართალი ხარ,

ძვირფასო ბენკო. სიმამაცით სავსეა იგი.
ყოველი სიტყვა, დახარჯული მისდა საქებრად,
ზეიმი არის. სწრაფად გავყვეთ. აბა წავედით.
სურს რომ მიგვასწროს, მოემზადოს ჩვენს დასახვედრად.
აი, უბადლო დიდებულება!

ფანფარები. გადიან

სურათი V

*ინვერნესი. მაკბეთის ციხე-კოშკი.
შემოდის ლედი მაკბეთი. წერილს კითხულობს*

ლედი მაკბეთი

*„ისინი სწორედ გამარჯვების დღეს შემხვდნენ. ყველაფერი
ზედმიწვევით ზუსტად იცოდნენ, რამაც დამარწმუნა, რომ უბრალო
მოკვდავნი არ უნდა ყოფილიყვნენ. საოცარმა სურვილმა შემიპყრო,
რაღაც მეკითხა, მაგრამ უეცრად გაქრნენ. გონს მოსვლა ვერ
მოვასწარი, რომ მეფის ხალხი მოვიდა და მისი სახელით
გამომაცხადეს კოვლორის თენად. იმ სამმა უცნაურმა დამაც ზომ
სწორედ ასე მომძარტა იმათ მოსვლამდე. მერე ისიც თქვეს, დიდება
მაკბეთს, მომავალ მეფესო. გადაეწყვიტე ეს ამბავი შევატყობინო, ჩემო
ძვირფასო. რატომ არ უნდა იცოდე, სულ მალე რა პატივი გეღოს.
თუშკა ჯერ გულში დამარხე და მშვიდობით“.*

გლამზისა და კოვლორის თენო, მეფეც იქნები!
მაგრამ სიკეთით სავსე არის შენი ბუნება
და ხელს შეგიშლის! ძალაუფლების მოტრფიალეც,
გინდა რომ იყო, წმინდანივით, მუდამ მართალი.
წარმატებისკენ მიდიოდე ლალი და მშვიდი.
ასე არ ხდება, დიდებული თენო გლამზისა!
„შიშმა თუ გძლია, ვერ მიაღწევ საწადელამდე“
მოდი აქ ჩემთან, ეს სიტყვები რომ ჩაგჩურჩულო.
თან გავამხნევო, თან გაგვიცხო შენი სისუსტე,
არ მივცე ნება არ მივიშვას ოქროს გვირგვინთან,
რომელიც ბედმა თუ ბედისწერამ იღუმაღმა
შემოგთავაზა!

*შემოდის მსახური
თქვი, რა ამბავი მოიტანე*

მსახური

ამაღამ მეფე გვესტუმრება.

ლედი მაკბეთი

ხომ არ გაგიჟდი!

შენი ბატონი მასთან არის. ასე რომ იყოს,
შემოგვითვლიდა, თადარიგი დაიკავეთო.

მსახური

სწორედ ასეა. ჩვენმა თენმა, რომელიც აქეთ
მოეშურება, გამოგზავნა წინდაწინ კაცი.
შიკრიკმა სული რომ მოითქვა, ამბავი გვამცნო.

ლედი მაკბეთი

სასიამოვნო ამბის მაცნეს გაუმასპინძლით!

მსახური გადის

ყორანმა უკვე ხმა დაკარგა, ისე დასჩხავლა
მეფე დანკანის მობრძანებას ჩემს ციხე-კოშკში.
სად ხართ სულებო, ბნელ ზრახვათა წამქეზებელნო,
წამართვით სქესი და ამავესეთ თხემით ტერფამდე,
სასტიკი ძალით. შემიდედეთ ძარღვებში სისხლი!
სინდისის ქენჯნა მომიკალით, რომ სინანულმა
ველარ შემბოჭოს და განზრახვას არ ამარიდოს.
რძის მაგიერად ძუძუებში ბალღამი მომეც!
მე შენ მოგმართავ, უხილავო, ვინც ადამიანს
აგულთანებ მკვლელლობაში და ბოროტებას
თესავ გარშემო. კიდევ უფრო ჩაშავდი, ღამე!
ჯოჯოხეთის კუპრს დაემსგავსე! ვერ დაინახოს
თვით ჩემი დანის ბასრმა წვეტმაც რა ჩაიდინა!
ზეცამ ვერ შეძლოს შემამჩნიოს დედამიწაზე,
არ დაიყვიროს „შეჩერდიო!“. ღირსო კოვლორო!
დიდო გლამზო!

შემოდის მაკბეთი

და ორივეზე მეტად ძლიერო!

შენმა წერილმა დამავიწყა უაზრო ყოფა.
ვერძნობ, დიდებული მომავალი დადგება მალე.

მაკბეთი

უსაყვარლესო, აქ იქნება დანკანი ღამით.

ლელი მაკბეთი
და როდის მიდის?

მაკბეთი

ხვალე დილით, ასე აპირებს.

ლელი მაკბეთი

ალარასოდეს გათენდება მაგისთვის დილა!
გადაშლილ წიგნს ჰგავს შენი სახე, ჩემო ძვირფასო!
უცნაურ ამბავს წაიკითხავს მაგ წიგნში ყველა.
და თუ არ გინდა ასე მოხდეს, გთხოვ გაიღიმო.
შენი თვალები, შენი ენა, შენი ხელები,
უმანკო ყვავილს დაამსგავსე. შიგ ჩააბუდე
ოღონდ ასპიტი. სტუმარი მოდის. კარგად დავხვდეთ.
მოდის, ეს ღამე მე მომანდე! სულ შეიცვლება
ამიერიდან ყოველი დღე და ყოველი ღამე.

მაკბეთი

ამაზე მერე ვილაპარაკოთ

ლელი მაკბეთი

კარგი, ასე ვქნათ.
ოღონდ სახე ნუ ჩამოგტირის, შიში დაფარე,
ძალიან ყვირის. ხომ გითხარი, მომანდე-მეთქი!

სურათი VI

*ციხე-კოშკის წინ. ჰობოი. დვანან მაკბეთის მსახურები.
შემოდინ: დანკანი, მალკოლმი, დონალბენი, ბენკო, ლენოქსი,
მაკდაფი, როსი, ენგუსი და მხლებლები*

დანკანი

ღამაზ ადგილას მდებარეობს ეს ციხე-კოშკი!
რა ჰაერია, როგორ ნაზად გესალბუნება!

ბენკო

აი მერცხალი, ზაფხულობით ჩვენი სტუმარი,
ძველი ტაძრების ბინადარი. ისიც აქ არი!
როგორც ეტყობა, მასაც მოსწონს ეს არემარე.
მოხერხებული რამ ადვილი, რაც კი იპოვა,
ფრიზი, შვერილი, სვეტის თავი, ზედ მიუკვრია
თავისი ბუდე და ბარტყებიც დაუჩქვია.
მე დავაკვირდი, თუ მერცხალმა სადმე იბუდა,
ჰაერი მართლაც, იმ ადვილას, დიდებულია.

შემოდის ლედი მაკბეთი

დანკანი

მობრძანდა ჩვენი მასპინძელი, კეთილშობილი!
თავს არ გვანებებს სიყვარული, ზოგჯერ გვაწუხებს!
დიდი გრძნობაა დამნაშავე ასეთ საქმეში.
მიიღე იგი, ვით თქვენს მიმართ, წყალობა ღვთისა
და ჩვენც მადლობა მოგვიძღვენი შეწუხებისთვის.

ლედი მაკბეთი

ნებისმიერი სამსახური, რასაც გაგიწევთ,
რომ გაორმაგდეს და მრავალჯერ რომ გაორმაგდეს,
მინც მცირეა, უმნიშვნელო, იმგვარ უსაზღვრო
პატივის გვერდით, თქვენ რომ იჩინო, დიღო მეფეო!
ძველიც ზომ გვანსოვს და ახალიც უკვე დაერთო.
თქვენზე ლოცვაში გავატარებთ მთელ ჩვენს ცხოვრებას.

დანკანი

კოვლორის თენი სად ბრძანდება? ფეხდაფეხ ვსდიეთ.
გვქონდა სურვილი, თან ვხლებოდით. ვერ დავეწიეთ.
შინისკენ ისე მოუხმობდა მას სიყვარული,
დაგვასწრო მოსვლა, მოფრინავდა იმისი გული.
ჩემო კეთილო და მშვენიერო მასპინძელო,
ამაღამ შენი სტუმრები ვართ.

ლედი მაკბეთი

თქვენს ქვეშევრდომებს,

რაც კი რაიმე გაგვაჩნია, ჩვენი თავი, თუ
სხვა რამ სიმდიდრე, თქვენგან გვაქვს ყველა ნაბომები
და გიბრუნდებათ, როცა ინებებთ!

დანკანი

მომე ხელი!

მაშ გაგვიძეხი, მასპინძელთან! ჩვენ გვიყვარს იგი.
პირობას გაძღვეთ, მომავალშიც არ მოაკლდება
ჩვენი წყალობა. ქალბატონო, თქვენი ნებართვით!
ვადიან

სურათი VII

ოთახი ციხე-კოშკში

*ჰობოი. ანთია ჩირაღდნები. სცენაზე დადიან მსახურები,
რომლებიც ნადიმს ემსახურებიან.
შემოდის მაკბეთი*

მაკბეთი

რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი იმით თუ მორჩა,
მაშ დაე მოხდეს, ოღონდ სწრაფად, რაც შეიძლება!
ასეთ მკვლელობას არაფერი რომ არ მოსდევდეს,
და კაცის მოკვლა იყოს მხოლოდ სულ ერთი დარტყმა...
მორჩა, გათავდა... რა მომელის იმ ცხოვრებაში,
არ ვიფიქრებდი! მაგრამ არა, ასე არ არის!
აქაც, ახლავე, სამართალი თავისას ითხოვს.
მკვლელებთან ერთად დაისჯება წამქეზებელიც.
მართლმსაჯულების დიდ კანონში ასე წერია!
სხვისთვის გაწვდილი საწამლავი იმავე თასით,
უკან, პირდაპირ ჩვენს ტუჩებთან დაგვიბრუნდება.
ის ახლა ჩემი სტუმარია! დაცული არის!
თანაც ორმაგად: ნათესავი, ქვეშევრდომიც ვარ.
ეს მიზეზია, განზრახვაზე ავიღო ხელი!
მეორეც ის, რომ, მასპინძელმა უნდა დაიცვას,
სტუმრის სიცოცხლე, მკვლელისაგან. ესეც რომ არა,

მეფე დანკანი მოწყალეა, ღირსებით სავსე.
მისი საქმენი მთელ სამეფოს უკვე აუწყეს,
კეთილხმოვანი საყვირებით ანგელოზებმა!
შეიბრალებენ, ვით უმწეო და უცოდველ ჩვილს!
თვით უსწრაფესი, ზეციური ქერუბიმები,
მიმოფანტავენ ქვეყანაზე საზარელ ამბავს!
და აზვირთდება ცრემლი ისე, რომ დედამიწას
შეაზანზარებს. არა, ამას ვერ გავაკეთებ!
მაგრამ რა ვქნა რომ, ვერ მოვთოკე, ჟინი და ლტოლვა!
როგორ მერევა! მეც და სხვასაც.

შემოდის ლედი მაკბეთი

მოხდა რამე?

ლედი მაკბეთი

ვანშამს ამთავრებს. სად წახვედი, რატომ დატოვე?

მაკბეთი

მე მიკითხა?

ლედი მაკბეთი

როგორ ფიქრობ, არ გიკითხავდა?!

მაკბეთი

უნდა მოვეშვათ ჩვენ ამ საქმეს! ასე აჯობებს!
ამ ცოტა ხნის წინ, რა პატივი მარგუნა იცი!
ჩემი სახელი, ხალხის თვალში, მეტად გაბრწყინდა!
არ მსურს მოვაკლო ელვარება ასეთ დიდებას.
რა მიზეზი მაქვს, ყველაფერი ქარს გავატანო?

ლედი მაკბეთი

ჩვენი იმედი, როგორც ვხედავ, მთვრალი ყოფილა!
შენ წამოდექი, ტანთ ჩაგიცვამს, მას კი ჯერ სძინავს.
რომ გაიღვიძებს, დაინახავს, რისი მიღწევაც
შეიძლებოდა სულ იოლად, აღარსად არის!
სადღაც გამქრალა, მიმალულა, განუნებულა.
ჩვენს სიყვარულსაც შეიძლება ეს დაემართოს!

რატომ გაშინებს გმირი იყო შენს საქციელში,
ისე თამამი, გაბედული, რაც სურვილში ხარ?
გსურს დაეუფლო ამქვეყნიურ ყველა საუნჯეს,
მაგრამ ვერ ბედავ! ლაჩარი ხარ? ასე მხდალი ხარ?
მინდას ამბობ და იქვე ამბობ არ შემიძლიას,
როგორც ერთ საწყალ კატაზეა ძველი ანდაზა.

მაკბეთი

მე ყველაფერი შემიძლია, რაც კაცს შეჰყურის
და ვინც მეტს სჩადის, იგი უკვე კაცი არ არის.

ლელი მაკბეთი

მაშ მხეცი იყო, გამიმხილა ვინც ეს ამბავი?
რომ აპირებდი ჩაგედინა, ხომ კაცი იყავ
და თუკი იზამ, კაცზე მეტი კაცი იქნები!
უნდა გვეზრუნა, შეგვერჩია დრო და ადგილი.
ახლა კი, როცა ყველაფერი თვითონ მოგვარდა,
შენ უკან იხევ?! კარგად ვიცი, შვილი ტკბილია.
მიწოვებია მისთვის ძუძუ, მაგრამ შევძლებდი,
მკერდიდან მაინც მომეგლიჯა და მომლიმარი
ძირს მომესროლა, ტვინი იქვე გადმომენტხია,
მე რომ შენსავით დამეფიცა, ამას ვიზამო!

მაკბეთი

რომ ვერ მოვივით ჩვენ ეს საქმე?

ლელი მაკბეთი

მაშინ წავაგებთ!

გამბედაობა მოიკრიბე და არ წავაგებთ.
როცა დანკანი დაიძინებს (მძიმე ღლე ჰქონდა,
რასაც ღრმა ძილი უნდა მოჰყვეს), ორივე მსახურს
ისე დავათრობ, არცერთს გონი აღარ შერჩება.
მეხსიერება, ტვინის მცველი, სადღაც გაქრება.
დაეყრებიან როგორც მკვდრები. დაიძინებენ.
მე და შენ ერთად, უპატრონოდ დარჩენილ დანკანს,
ვერაფერს ვუზამთ? მთვრალ დარაჯებს დააბრალებენ.

მაკბეთი

უნდა აჩენდე მხოლოდ ვაჟებს! როგორ გგონია,
თუ სისხლით მოვსვრით იმის მცველებს და იარაღად
მათ ხანჯლებს ვიხმართ, ეჭვს იმათზე არ მიიტანენ?

ლედი მაკბეთი

ვინმე გაბედავს რაღე აზრი თავში გაივლოს?!
ყველა ნახავს, რომ შევწუხდებით. გლოვას დავიწყებთ!

მაკბეთი

ისე მოვიქცეთ, როგორც გინდა! მე თანახმა ვარ!
მძიმე საქმეა. საშინელი! ახლა წავიდეთ.
გველოდებიან. დროს დავცინოთ, ვიმხიარულოთ.
რაც ცბიერ გულს სურს, ცბიერ სახეს ამოვაფაროთ!

მეორე მოქმედება

სურათი I

*მაკბეთის ციხე-კოშკის წინ
შემოდის ფლიენსი, ჩირაღდნით ხელში და ბენკო*

ბენკო

რა დრო იქნება?

ფლიენსი

მთვარე ჩავიდა, საათის ხმა არ გამიგია.

ბენკო

თორმეტზე ჩადის.

ფლიენსი

არა, უკვე მეტი იქნება.

ბენკო

მოდ, ეს ხმალი გამომართვი. ხედავ, რა ხდება?!

მაღლა, ზეცაშიც დაუწყიათ მომჭირნეობა.

ყველა სანთელი ჩამქრალია. ესეც აიღე!

რატომღაც გული დამიმძიმდა. არ მეძინება.

ციურნო ძალნო, მომაცილეთ წყეული ფიქრი,

დაძინების წინ გონებას რომ გვიფორიაქებს!

ხმალი მომეცი!

*შემოდის მაკბეთი და მსახური ჩირაღდნით
რომელი ხარ?*

მაკბეთი

მეგობარი ვარ!

ბენკო

არ დაწოლილხარ? მოისვენა უკვე მეფემაც!

კმაყოფილია, დიდებული დრო გაატარა.

შენს ცოლს აღმასიც კი უბოძა მასპინძლობისთვის!
დაასაჩუქრა მსახურებიც.

მაკბეთი

მზად არ ვიყავით
და ვერ მოვარგეთ ჩვენს სურვილებს შესაძლებლობა.
უკეთ გვმართებდა.

ბენკო

ყველაფერი მშვენივრად იყო.
წუხელ ის სამი, ჯადოქარი, და დამესიზმრა.
რაც იმათ გვითხრეს, ზოგიერთი სწორი გამოდგა!

მაკბეთი

ალარც კი მახსოვს, რას ამბობდნენ. დრო რომ გვექნება,
ამბავი ერთად გავიხსენოთ.

ბენკო

როცა ვინდოდე.

მაკბეთი

თუკი ჩემს რჩევებს ყურს დაუგდებ და მონინდომებ,
დიდი პატივი შენც მოგელის.

ბენკო

ჰო! მთავარია,
იმდენად ბევრი არ ვინდომო, რომ ეს ღირსება,
რაც გამაჩნია, მაგ დიდ პატივს არ ვანაცვალო!
ან მეფის მიმართ ერთგულება არ მომეშალოს!
რჩევას მივიღებ.

მაკბეთი

მშვიდი ძილი და მოსვენება!

ბენკო

მადლობელი ვარ. შენც იგივე მინდა გისურვო.
გადიან ბენკო და ფლიენსი

მაკბეთი

ასე უთხარი შენს ქალბატონს, ზარი დარეკოს,
როცა ჩემს სასმელს გაამზადებს. შენ დაიძინე.

მსახური გაღის

ეს ხანჯალია, რასაც ვხედავ? ჰო, ხანჯალია!
ჩემი ხელისკენ იწევს ტარით! მოდი, შეგეხე!
საბედისწერო მოჩვენებავ, შენ არ არსებობ?!
ცნობიერების ხანჯალი ხარ, წარმოსახვა ხარ
აღმოდებული ტვინის ხილვა! ცხადად კი ვხედავ,
როგორც ამ ხანჯალს, რომელსაც ახლა ამოვიღებ.
იმ გზას მიჩვენებ, საით წავალ? თან იარაღსაც?!
ვისი გონება ასულელებს ნეტავ ჩემს თვალებს.
და ალბათ არა მხოლოდ თვალებს! ისევ გამოჩნდი?!
სისხლიანი ხარ! პირზე! ტარზე! სულ ცოტა ხნის წინ,
ეგ მანდ არ იყო! სისხლი იღვრება! და მკვლელობა,
თვალმა წინასწარ დაინახა. ესეც ზმანება:
მთელი სამყაროს ნახევარი ძილს მისცემია.
თავს დასტრიალებს საშინელი, ავი სიზმრები.
კუდიანების ზეიშია! მსხვერპლის შეწირვა
იმ ფერმიხდილი ჰეკატესთვის. ჩონჩხი-ჯალათი,
ავი ყმუილით მცველმა მგელმა, გამოაღვიდა!
მიიპარება! ვით ავხორცი ტარკვინიუსი,
რომ აღასრულოს უცილობლად, განზრახვა თვისი.
შენ, დედამიწავ, ერთ ადგილას, ხომ დგახარ მყარად!
მამ ყურს ნუ უგდებ ჩემს ნაბიჯებს, საით მივდივარ!
პატარა კენჭმაც რომ არ გამოთქვას, თუ სად ვიქნები.
ჩამოაცილეთ შიშის ზარი დროის შეგრძნებას!
თუმცა შეჰფერის, არ მოშორდეს და მასთან იყოს.
ვიდრე სიტყვებით ვიშუქრები, ის ცოცხალია,
ცივი სიტყვები აგრილებენ მხურვალე საქმეს.

ზარი ირეკება

ზარი დარეკეს, მეძახიან. მორჩა! წავედი!
არ მოუსმინო მის რეკვას, დანკან! იგი შენ გიხმობს,
რომ გაგისტუმროს სამოთხეში ან ჯოჯოხეთში.

გაღის

სურათი II

შემოდის ლედი მაკბეთი

ლედი მაკბეთი

რამაც ისინი გამოათრო, მე ძალა მომცა!
იმათში ცეცხლი გაანელა, ჩემში აანთო.
დაიცა! ჩუმაღ! ჭოტი კივის, განგების მაცნე.
სჩანს სიბნელეში, მკვლელს უსურვებს, იღბლიან ღამეს.
აღბათ აკეთებს თავის საქმეს! კარი ღიაა. . .
მცველები ისე გაიღეშენ, რომ ახლა ხვრინვით ,
მოვალეობას დასცინიან. ბანგი მივეცი!
სასმელში ბლომად ჩაუყარე. ველარც სიკვდილი
და ვერც ბუნება ვერ მიხვდება, მკვლარი არიან
თუ ცოცხლები.

მაკბეთი

გარედან

მანდ რომელი ხარ! ჰეი, ვინა ხარ!

ლედი მაკბეთი

გაუღვიძიათ აღბათ უკვე. ვერ მოვასწარიო!
მხოლოდ დავიწყეთ და ეტყობა, ვერ დავასრულეთ. ჩჩ!
ხანჯლები იქვე დაუულაგე, დაინახავდა!
მამაჩემს ჰგავდა, რომ ეძინა, თორემ ამას,
თვითონ ვიზამდი. ვინ მოვიდა? ჩემი ქმარია!

მაკბეთი

მე მოვრჩი საქმეს! რა ხმა იყო, არ გაგიგია?

ლედი მაკბეთი

ჭოტის ხმა იყო. გავიგონე. ჭრიჭინობელაც
ჭრიჭინებდა. შენ რას ყვიროდი?

მაკბეთი

როდის?

ლედი მაკბეთი

ამ წუთას.

მაკბეთი

რომ შემოველი?

ლედი მაკბეთი

ჰო.

მაკბეთი

ჩუ. ვინ წევს გვერდით ოთახში?

ლედი მაკბეთი

დონალბეინი.

მაკბეთი

საშინელი სანახავია!

თავის ხელებს დასცქერის

ლედი მაკბეთი

სისულელეა ახლა უკვე მაგაზე ფიქრი.

მაკბეთი

ერთს უცებ ძილში გაეცინა, ხოლო მეორემ, იყვირა „მკვლელი!“, მანაც ძილში. და ამ ზმაურით გამოაღვიძეს ერთმანეთი. მე იქ ვიდექი. შემდეგ ორივემ დაიწყო ლოცვა. ესეც მესმოდა. მერე კი ისევ დაიძინეს.

ლედი მაკბეთი

მათ ისევ სძინავთ!

მაკბეთი

დაგვიფარეო, უფალოო, ამბობდა ერთი. „ამინ!“ ამბობდა ის მეორე. ჯალათი იგრძნეს!

თითქოს მხედავდნენ. ეშინოდათ, შველას ითხოვდნენ!
მე ვერ ვთქვი „ამინ“.

ლედი მაკბეთი

ვირჩევნია, ნუ ჩაღრმავდები.

მაკბეთი

როგორ შემედლო მეტქვა „ამინ“, როცა მე თვითონ,
იმათზე მეტად, მჭირდებოდა ღმერთისგან შველა.

ლედი მაკბეთი

მოდი, ამაზე ნუ ვიფიქრებთ, ასე აჯობებს,
თორემ ჭკუიდან შევიშლებით!

მაკბეთი

მერე მომესმა,
ვიღაც ყვიროდა, აწი ველარ დაიძინებთო!
ძილი მოკლავო! მაკბეთმაო! საწყალი ძილი,
რომელიც მშვიდად გვიწესრიგებს არეულ ფიქრებს,
ჩვენი მძიმე დღის დასასრული, ძილი-სიკვდილი,
მტანჯველი შრომის შემდეგ – შვება, ჩვენი განბანვა,
სულის მალამო და ბუნების წესი მეორე,
ჩვენი ნუგეში, ჩვენი საზრდო.

ლედი მაკბეთი

რას ლაპარაკობ?!

მაკბეთი

ჰო, გაჰყვიროდა, ველარასდროს დაიძინებთო!
მთელ სახლს ესმოდა! გლამზმა ძილი უკვე მოკლავო!
კოვლორი ველარ დაიძინებს! ველარც მაკბეთი,
ველარასოდეს დაიძინებს, ვერასოდესო!

ლედი მაკბეთი

ვინ გაჰყვიროდა, ის ვინ იყო? ღირსო თენო,
ხომ არ გაგიჟდი, გონს მოეგე! თავს ნუ იტანჯავ.

წადი, მოძებნე ცოტა წყალი და დაიბანე,
ჩამოცილე საწიზლარი ლაქა ხელიდან.
ხანჯლები რატომ მოიტანე? იქ უნდა იყოს!
მიღი, წაიღე და მცველებიც სისხლით მოთხუპნე.

მაკბეთი

მე იქ არ წავალ! მეშინია! ველარ შევხედავ.
არ შემიძლია!

ლედი მაკბეთი

ნებისყოფა სულ აღარ შეგრჩა?!
მომე ხანჯლები! სურათსა გავს მკვდარიც, მძინარეც.
ნახატში ეშმა, ბავშვის გარდა, ვის შეაშინებს.
მცველებს სახეზე სისხლს წავუსვამ, თუ ისევ მოსდის,
მათ რომ დაბრალებდეთ.

გადის. აბრაზუნებენ

მაკბეთი

ეს ბრაზუნი საიდან ისმის?
რა მემართება, თავზარს რად მცემს ყველა ხმაური.
გამაგებინეთ, ეს რა არის! ეს ხელებია!?
ლამის თვალები გადმომცვივდეს! ამას რა დაბანს!
ნებტუნის დიდი ოკეანე ეყოფა ნეტავ,
რომ ჩამორეცხოს სისხლი აქედან. ვერა. ვერა!
იქით შეღებავს ეს ხელები მწვანე წყალს წითლად.
უთვალავ ზღვებსაც, ყველას ერთად, მეწამულს გახდის!

შემოდის ლედი მაკბეთი

ლედი მაკბეთი

შენი ფერია ჩემი ხელიც მაგრამ გული რომ
მიგავდეს შენსას, შემრცხვებოდა.

ისმის ბრაზუნი

აბრაზუნებენ

სამხრეთის კარზე. ჩვენს ოთახში უნდა წავიდეთ.
წყალი გვჭირდება, ამ საქმის კვალს მხოლოდ ის წამლის
და ნახე, როგორ დავწყენარდებით! მაინც გიმტყუნა
სიმამაცემ!

ისძის ბრახუნნი

ჩჩჩ! კარზე ისევ აბრახუნებენ!

ღამის პერანგი გადაიცვი. არ გადაგვაწყდეს
შემთხვევით ვინმე და არ გაიგონ, რომ არ გვძინავს.
ისევ აპყევი მაგ შენს ფიქრებს?!

მაკბეთი

თუ ეს ამბავი

უნდა მომსვლოდა, ნეტავ სულაც ნუ ვიქნებოდი !

ბრახუნნი

მიდი, დანკანი გააღვიძე თუ შეგიძლია.
რას არ მიცემდი, ოღონდაც კი შეიძლებოდა!

სურათი III

შემოდის მეკარე. კარზე ბრახუნია

მეკარე

რა იყო, რა ამბავია! ჯოჯოხეთის მეკარე, ალბათ გასაღების ტრიალში
ბერდება!

ბრახუნნი

ბრახ-ბრუხ, ბრახ-ბრუხ! რომელი ხარ, ბელზებელს გაფიცებ.
ა, ის გლეხი ხარ, იმედი რომ გქონდა, კარგ მოსავალს მივიღებო?
თავი ჩამოიხრჩვე? დროზე მოხვედი, აი რა მაქვს შენთვის! ტილოები.
დაგჭირდება, ოფლში გაიწურები.

ბრახუნნი

ბრახ-ბრუხ! ვინ არის? შენ სხვა ეშმაკს დაგაფიცებ. ეს ვინ
მოსულა! შენ ის არა ხარ, ტყუილზე და მართალზე ერთნაირად რომ
იფიცებოდი? უფლის სახელით რამდენი ბოროტება ჩავიდენია. არ
უშვებენ სასუფეველში ფარისევლებს? სამაგიეროდ ჩვენთან უშვებენ!
მობრძანდი!

ბრახუნნი

ბრახ-ბრახ-ბრახ! თქვენ ვინ ბრძანდებით? ინგლისელი მკერავი? ეგ
რომელი, ფრანგული შარვლის ნაჭერი რომ მოიპარე? მოდი, მკერავო,
მოდი! შენი უთო აქ ისე გავარვარდება!

ბრახუნნი

ბრახ-ბრუხ-ბრახ! ვინ გვესტუმრა? ასეთი სიცივე ჯოჯონეთში ნამდვილად არ იქნება, ესე იგი არც მე ვარ ეშმაკების კართან მეკარე. არადა, როგორ მინდოდა სხვადასხვა ჯურის ხალხისთვის კარი გამეღო, ია-ვარდით გზა მომეფინა და მარადიული კოცონისკენ გამესტუმრებინა.

ბრახუნი

ჰო, კარგი, კარგი. ვიცი, ერთი უბრალო დარაჯი ვარ. მოვდივარ!

ალებს ჭიშკარს

შემოდინ მაკლავი და ლენოქსი

მაკლავი

ისე გვიან დაიძინე მეგობარო, რომ ვეღარ იღვიძებ?

მეკარე

შემიძლია დავიფიცო, სერ, მამლის მეორე ყვივლამდე ფეხზე ვიყავი. იმდენი ვსვი და ხომ მოგეხსენებათ, სმას სამი რამე რომ მოჰყვება ხოლმე.

მაკლავი

რომელი სამი რამე?

მეკარე

ვითომ არ იცით სერ, წითელი ცხვირი, ძილი და ფსმა. ხუმტურებიც მოჰყვება, მაგრამ იცით როგორ არის, თან მოჰყვება, თან არა. აი სურვილი გაგინდება, შედეგი კი ვერ მოგართვს. ესე იგი ლოთობა ფარისევლობაა, თანაც ხუმტურებით. ხუმტურებს რას უშვება? ჯერ აქეზებს, მერე ბორკავს. ჩაგრთავს – გამოგრთავს. სულ ბოლოს რას გიზამს? აცუნცრუკებულს, ძილში შეგიტყუებს და მშრალზე დაგტოვებს.

მაკლავი

გეტყობა, წუხელ მშრალზე დარჩენილხარ, იმდენი გისვამს.

მეკარე

ასეა, სერ, მეც სამაგიერო გადავუხადე გასულელებისთვის. ფეხებშიც დამტაცა ხელი, ძირსაც დამაგლო, მაგრამ ვერაფერი მიქნა.

მაკლაფი

შენს ბატონს სძინავს? ჩვენს ხმაურზე გაუღვიძია როგორც ეტყობა. აქეთ მოდის.

მაკბეთი

დილა მშვიდობის!

მაკლაფი

მეფეს თუ ღვიძავს, ღირსო თენო?

მაკბეთი

ჯერ არ ამდგარა.

მაკლაფი

ღროზე მოდიო, ასე ბრძანა. ვფიქრობ, კიდევაც დავიგვიანე.

მაკბეთი

წამობრძანდი, მიგიყვან მასთან.

მაკლაფი

გსიამოვნებს, ვიცი ეს გარჯა, მაგრამ გაწუხებ.

მაკბეთი

გარჯა არ არის. საამოა. აი ეს განლავეთ. მისი კარია!

მაკლაფი

უნდა გავბელო და შევიდე.
რაკი მან თვითონ ასე ბრძანა, რა გაეწყობა.
მაკლაფი გადის

ლენოქსი

ღღეს მიბრძანლება ნეტავ მეფე?

მაკბეთი

ასე ისურვა!

ლენოქსი

წუხელ მშფოთვარე ღამე იყო! სადაც გვეძინა,
ქარი ზუზუნით უბერავდა საკვამურებში.
ამბობენ, ციდან გოდების ხმა მოისმოდაო.
მთქმა-ტირილიც, უცნაური, სამგლოვიარო.
ნიშანიაო, სიკვდილის და, უბედურების!
ცეცხლი გაჩნდება, მღელვარება დაიწყებაო!
რალაც ფრინველი მთელი ღამე გაჰკიოდაო.
ჰო, ისიც კი თქვეს, მიწისძვრაა, მიწა იძრაო.

მაკბეთი

უსიამოვნო ღამე იყო!

ლენოქსი

მსგავსი ამბავი
არ გამიგია, თუმცა ბევრიც არ მიცხოვრია.
შემოდის მაკლაფი

მაკლაფი

საშინელება! შემზარავი! თავზარდამცემი!
ენა ვერ იტყვის, ვერც გონება ვერ წარმოიდგენს!

მაკბეთი, ლენოქსი

რა ამბავია?!

მაკლაფი

უზნეობა ზღვარს გადავიდა!
ბოროტი ხელი აღიმართა წმინდა ტაძარზე!
ბჭე შეანგრია კურთხეული, სული წარსტაცა.
ამით სიცოცხლე მოუსწრაფა!

მაკბეთი

სიცოცხლე?

ლენოქსი

მეფეს?

მაკლაფი

შედით ოთახში, გელოდებათ გორგონას კვალი!
რასაც იქ ნახავთ, მოგვიყევით, თუ შეგიძლიათ!
გამოიღვიძეთ! ბატონებო, გამოიღვიძეთ!

მაკბეთი და ლენოქსი ვადიან

განგაშის ზარი! ღალატია! მკვლელობა მოხდა!
ბენკო! დონალბეინ და მალკოლმ! გამოიღვიძეთ!
რა დროს ძილია, წამოდექით, სიკვდილი ნახეთ!
აჰა, დამდგარა განკითხვის დღე! მალკოლმ და ბენკო!
კუბოდან ამდგარ მოჩვენებას დაემსგავსენით!
საშინელება უნდა ნახოთ. ზარს შემოჰკარით!

ზარი ირეკება

შემოდის ლედი მაკბეთი

ლედი მაკბეთი

ნუთუ ისეთი მოხდა რამე, ასე განგაშით
რომ გაგვადვიძეთ. მთელი სახლი ერთად შეჰყარეთ.
გამაგებინეთ!

მაკლაფი

კეთილშობილო ქალბატონო,
რასაც ვამბობდი, სჯობს თქვენს სმენას არ მიეკაროს.
გამეორებას ვერ გავბედავ, თქვენ გულის ვერ გატკენთ!

შემოდის ბენკო

ო, ბენკო, ბენკო, რომ იცოდე, მეფე მოგვიკლეს!

ლედი მაკბეთი

ეს რა გავიგე, ღმერთო ჩემო, ჩემს სახლში მოკლეს?

ბენკო

სადაც არ უნდა მომხდარიყო, სისასტიკეა!
ძვირფასო მაკლაფ, ახლავე თქვი, ტყუილია-თქო!

შემოდის მაკბეთი და ლენოქსი

მაკბეთი

ვიდრე ამ ამბავს გავიგებდი, რატომ არ მოვკვდი!

რა ბედნიერი ვიქნებოდი. წაზდა ყოველი!
პატიოსნება, სისპეტაკე, აღარ არსებობს!
უშინაარსო, ფუჭ სიტყვებად გადაქცეულან.
ცხოვრების ღვინო დაილია და ჩვენს მარანში,
თხლე გაბატონდა, ნაძირალა, ამიერიდან!
შემოდინ მალკოლმი და ღონაღბენი

ღონაღბენი

მოხდა რაიმე?

მაკბეთი

არც კი იცით, რა დაგემართათ!
მძლავრი სათავე დაიწრიტა თქვენი სისხლისა.
ველარსაიდან ვერ გადმოსჩქეფს, მთლიანად დაშრა.

მაკლაფი

წუხელ მოუკლავთ მამათქვენი!

მალკოლმი

როგორ, ვინ მოკლა?

ლენოქსი

როგორც ეტყობა, მოკლეს ალბათ, მისმა მცველებმა!
სახე, ხელები, სისხლით ჰქონდათ იმათ მოსვრილი.
ხანჯლებიც ვნახეთ სისხლიანი, გვერდით ელაგათ.
გაშტერებული გვიყურებდნენ, დაბნეულები.
მეფის სიცოცხლე შეიძლება მაგათ მიანდო?!

მაკბეთი

და მაინც ვნანობ, რომ დავხოცე. არ უნდა მექნა.
თავი ვერაფრით შევიკავე.

მაკლაფი

და დახოცე?!

მაკბეთი

შეძლებდა ვინმე, იმ წუთებში დარჩენილიყო

მშვიდიც, მრისხანეც, ერთდროულად. არა მგონია!
გონიერებით აღშფოთებას ვინ მოთოკავდა!
მისდამი შმაგმა სიყვარულმა ნება არ მომცა!
განსჯის სურვილი არ დატოვა! იწვა დანკანი,
მბზინავი სახე, ვერცხლისფერი, სულ ერთიანად
სისხლით მოსვროდა. თითქოს ვერცხლი ოქრომ დაფარა.
ყველა ჭრილობა, მომეჩვენა, რომ შავ ხვრელს ჰგავდა.
სხეული განგებ დაუცხრილეს, რათა სიღრმეში,
ლპობამ ადვილად შეაღწიოს, გაანადგუროს.
მერე მკვლელები დავინახე. სახეზე ეცხოთ
აშკარა კვალი ჩადენილის. მათი ხანჯლები
იქვე ეყარა. სისხლიანი! ასე იზამდა,
ვისაც ჩემსავით უყვარდა იგი!

ლუდი მაკბეთი

უცებ

ო, მიშველეთ!

მაკლაფი

მიხედეთ ვინმემ ლუდი მაკბეთს!

მალკოლმი

დონალბენის

ჩუმად რატომ ვართ?

ეს ჩვენ გვეხება!

დონალბენი

დავაჭიროთ სჯობს ენას კბილი!

სადღაც აქ არის ბედისწერა ჩასაფრებული.

სულ მალე, თავზე დაგვაცხრება. რა დროს ცრემლია,
დროზე გავიქცეთ!

მალკოლმი

ველარ ვიზამთ ჩვენ ველარაფერს!

ბენკო

ხომ გაიგონეთ, მიხედეთო, სწრაფად ქალბატონს!

ლედი მკბეთი გაჰყავთ

ვნებათაღელვა დავიოკოთ და გონს მოვიდეთ.
მერე კი ერთად, ეს მკვლელობა გამოვიძიოთ.
უნდა გავერკვეთ, აქ რა მოხდა! შიში და ეჭვი
შემოგვეპარა. ჩემი შემწე უფალი იყოს,
რადგან ვაპირებ ამ ლალატის და ბოროტების
კვალს მოვაკვლიო!

მაკდაფი

შენთანა ვარ!

ყველანი

მეც შენთანა ვარ!

მაკბეთი

კარგი, დაეწყნარდეთ და თავს ხელში როცა ავიყვანთ,
შევიკრიბებით დიდ დარბაზში!

ყველანი

ასე შევთანხმდეთ!

გადიან მალკოლმის და დონალბეინის გარდა

მალკოლმი

აქაურობას გავეცალოთ. თვალთმაქცობაში
ცბიერ კაცს ვერვინ ვერ აჯობებს. მე ინგლისს წავაღ.

დონალბეინი

ცალ-ცალკე ვიყოთ. მე ვიქნები ირლანდიაში.
ყველა ღიმილში ხანჯალია ჩასაფრებული.
უახლოესი ნათესავი მტერზე მტერია.

მალკოლმი

მისი ისარი, სასიკვდილო, უკვე ჩვენ გვეძებს
და ვიდრე მიზანს მიაგნებდეს, სჯობს გავერიდოთ.
გამოთხოვება არც იფიქრო! ცხენებზე ჩქარა!
ქურდი არ გქვია, როცა მხოლოდ შენს თავს იპარავ.
სხვა რა გზა დაგვრჩა, აქ დანდობას არ გვიპირებენ.

სურათი V

ციხე-კოშკისგან მოშორებით. შემოდინ როსი და მოხუცი კაცი

მოხუცი

სამჯერ ოცი და ათი წელი მშვენივრად მახსოვს.
გრძელ ცხოვრებაში რა არ ვნახე, რა განსაცდელი!
ამბები, მეტად უცნაური, მაგრამ ამ ღამემ,
სულ გადაფარა ყველაფერი, უწინ ნანახი.

როსი

კეთილო კაცი, როგორც ხედავ, ზეცა განრისხდა.
არ სურს უცქიროს კაცთა მოღმის ბოროტ საქციელს.
მთელი სამყარო ხოცვა-ჟლეტის არენად იქცა.
დღე უნდა იყოს ახლა წესით, მაგრამ ღამეა.
წყვილია ფარავს ცაში მოძრავ სინათლის წყაროს.
თვითონ იძალა, ნეტავ ღამემ? თუ დღეს რცხვენია,
დაისამარა თავი ბნელში, ნაცვლად იმისა,
ალერსში იყოს მზის სხივებთან.

მოხუცი

ბუნების წესი

თავდაყირაა, უკულმაა. გასულ სამშაბათს,
დანავარდობდა შევარდენი, ცაში ამაყად.
მოულოდნელად, ბუ დააცხრა, თავვიჭამია!
და მოკლა იგი!

როსი

ცხენის ამბავი! უცნაურია!

უმშვენიერეს, ულამაზეს, სიმარდით განთქმულ
დანკანის ცხენებს, საოცარი რამ დაემართათ.
სულ გადალევს საჯინიბო, გარეთ გაიჭრნენ,
თითქოს ასე თქვეს მათ უარი მორჩილებაზე.

მოხუცი

ვილაც ამბობდა, ერთმანეთი გადაჭამესო.

როსი

დიახ, მე ვნახე და ჩემს თვალებს ვერ ვუჯერებდი.
მაკლაფი მოდის.

შემოდის მაკლაფი
თქვი, რა ხდება.

მაკლაფი

ისეღაც იცი.

როსი

გაირკვა ბოლოს, ეგ მკვლელობა ვინ ჩაიდინა?

მაკლაფი

აღბათ მცველებმა, ვინც დახოცა მაშინ მაკბეთმა.

როსი

ო, ღმერთო ჩემო, იმათ რაში უნდა აწყობდეთ!

მაკლაფი

იქნებ ვილაცამ მოისყიდა! მეფის შვილები,
ღონალბენი და მალკოლმი რომ გაპარულან,
ამიტომ ეჭვი გასჩენიათ მაგათზეც უკვე.

როსი

ესეც ბუნების საშინელი უკუღმა ბრუნვა!
თუ დაგიმონა ამბიცია, ისე გაგძარცვავს,
არ დაგიტოვებს სიცოცხლესაც! მეფე იქნება
ახლა მაკბეთი, როგორც ითქვა.

მაკლაფი

არის კიდევაც.
სკონში წავიდა, სადაც მეფედ უნდა აკურთხონ.

როსი

დანკანი საით წაასვენეს?

მაკლაფი

თავის კოლმკილში,
საგვარეულო აკლდამაში, მათ საძვალეში.

როსი

სკონში წახვალ?

მაკლაფი

არა, ფაიფში.

როსი

მე კი იქ წავალ.

მაკლაფი

კარგი ამბები ღაგხვედროდეს. აბა მშვიდობით!
მაგრამ ვაითუ ძველი სამოსი უკეთ გვადგა,
ვიდრე ახალი.

როსი

ბერიკაცო, მშვიდობით იყავ!

მოხუცი

შენც ასევე! ღმერთი ფარავდეს, ვინც მოახერხებს,
ავი კეთილად მოაქციოს, მტერი მეგობრად!

მესამე მოქმედება

სურათი I

*ფორესი. ოთახი სასახლეში
შემოდის ბენკო*

ბენკო

როგორ ავიხდა, რაც კი ვითხრეს კუდიანებმა!
გლამზი, კოვლორი! მეფეც გახდი! მაგრამ ეჭვი მაქვს,
რომ ამ თამაშში აკრძალული იხმარე ხერხი.
ისიც ხომ ვითხრეს, არ შეგრჩება ბოლოს გვირგვინი.
ჩემგან იწყება დინასტია ახალ მონარქთა!
დაეჯერება ნეტავ რამე ჯადოქრის სიტყვას?!
თუმცა გამართლდა შენზე, მაკბეთ. იქნებ ასევე,
ის ორაკული, ჩემს ამბავშიც სწორი გამოდგეს.
გულში იმედმა დაიბუღა. ჩჩ! ამაზე კრინტი!

*საზეიძო სვლით შემოდის მაკბეთი-მეფე, ლედი მაკბეთი-დედოფალი,
ლენოქსი, როსი, დიდებულები, ქალბატონები და მზლებლები*

მაკბეთი

ესეც სტუმარი, უმთავრესი!

ლედი მაკბეთი

რომლის გარეშე,
რა უხალისო იქნებოდა ჩვენი მოლხენა!

მაკბეთი

დღეს ვანშამს ვმართავთ, დაგვეწვიე, ვიმხიარულოთ.

ბენკო

სიამოვნებით. როგორც ბრძანებთ, თქვენო ღირსებავ.
სამუდამოა, თანაც მტკიცე, ჩვენი კავშირი.
ისე ვართ ერთად

მაკბეთი

აი ახლა სადმე მიდიხარ?

ბენკო

ღიას, მეფევე!

მაკბეთი

სამწუნაროა, რადგან თათბირზე
დარბაისლური შენი აზრის გვსურდა მოსმენა.
შენ გეხერხება სასარგებლო რჩევის მიცემა.
კარგი, ხვალ იყოს! სჯობს ის მითხარი, შორს მიდიხარ?

ბენკო

იმდენად შორს, რომ დღეს, ვახშამზე, თქვენთან ვიქნები.
თუ ჩემმა ცხენმა იზარმაცა, ერთ საათს ღამეს
დავესესხები.

მაკბეთი

წვეულებას ნუ დააკლდები.

ბენკო

არ დაგაკლდები, ჩემო მეფევე!

მაკბეთი

ლაპარაკობენ,
რომ თურმე ჩვენი, ის წყეული ნათესავები,
გადახვეწილნი ინგლისსა და ირლანდიაში,
მამის მკვლელობას არ ამხელენ. ამასთანავე,
ყვებიან ამბავს, გაუგონარს, მეტად უცნაურს!
ხვალ ვისაუბროთ, რომ შევხვდებით, ასე აჯობებს.
თან სახელმწიფო საკითხებსაც ერთად მივხედოთ.
არ დაგავიწყდეს, გელოდებით. ფლიენსიც მოდის?

ბენკო

გვაგვიანდება, დრო არ იცდის. ფლიენსიც მოდის.

მაკბეთი

მაშ ისლა დამრჩა, რომ გისურვოთ ახლა ორივეს,
ფეხმარდი ცხენი და უსაფრთხო მოგ ზაურობა.
აბა, მშვიდობით.

ბენკო ვადის

დავიშალოთ, ახლა ყველანი.

შვიდ საათამდე, რაც გენებოთ, ის გააკეთეთ.
სასიამოვნო საღამოზე ვიდრე შევხვდებით,
მსურს მართო დავრჩე. თქვენი შემწე უფალი იყოს!

ვადის ყველა მაკბეთის და ერთი მსახურის გარდა

მოდის აქ ჩემთან. მომიყვანე, ვინც დაგავალე?

მსახური

გელოდებიან. გარეთ. ორნი.

მაკბეთი

შემოიყვანე.

მსახური ვადის

ასე ცხოვრება, მუდმივ შიშში, არ შემძლია.
ამის მიზეზი ბენკოშია ღრმად ჩამალული.
მის ბუნებაში, ღიღებულში, მართლაც მეფურში.
სიფრთხილე მმართვეს. ჭკვიანია, წინდახედული.
ცივი გონება სიმამაცეს წამით არ სტოვებს.
ვიდრე ცოცხალი დადის ქვეყნად, რა მომასვენებს!
სულ მის ჩრდილში ვარ, როგორც მარკუს ანტონიუსი
კეისრის გვერდით. ჯაღოქარ დებს რა გაუკეთა?!
როგორც კი მეფე მე მიწოდეს, ეცა მაშინვე,
მეც მითხარითო. ათქმევინა, ასე სულ ძალით,
რომ მომავალში ტახტზე ავლენ მისი შვილები.
ფუჭი ყოფილა ეს გვირგვინი. ანდა ეს კვერთხი!
რისთვის მიპყრია, თუ ვერ შევძლებ, გადავულოცო
შთამომავლობას. გამომგლიჯონ უნდათ ხელიდან!
რა გამოვიდა, რას ვერჩოდი საბრალო დანკანს?!
მშვიდი ცხოვრების ფიალაში ჩამისხამს შხამი
და სული ჩემი, ერთადერთი მართლაც საუნჯე,
ხომ სამუდამოდ გამიწირავს ჯოჯოხეთისთვის.

ბენკოს შვილები, მეფე გახდნენ? მხოლოდ ამისთვის?
ეს არ მოხდება! შექმედი, მიდი, განგებავ!
თუ შეგიძლია, დამამარცხე! მანდ რომელი ხარ?
შემოდის მსახური ორ მკვლელთან ერთად
კართან იდექი, დამელოდე, ვიდრე არ გიხმობ.
მსახური გადის
გელაპარაკეთ მე თქვენ გუშინ.

პირველი მკვლელი

დიახ, მეფეო.

მაკბეთი

აწონ-დაწონეთ ალბათ კარგად, რაც მოისმინეთ.
დარწმუნდებოდით, ყველაფერი ვისი ბრალია.
ალბათ ფიქრობდით, გულუბრყვილოდ, რომ დამნაშავე
მე ვიქნებოდი. ამიტომაც გაგაგებინეთ,
ვინ გატყუებდათ, ვის დაყავდით თავის ნებაზე.
უკვე იმდენი რამ გითხარით, რომ თქვენს ადგილას
ნებისმიერი იყვირებდა: „ბენკოს ბრალია!“

პირველი მკვლელი

ასე არისო, თქვენ გვითხარით.

მაკბეთი

და თქვენც გაიგეთ!
ახლა იმისთვის შევიკრიბეთ, რომ წინ წავიდეთ.
თქვენს მოთმინებას აქვს თუ არა რაღაც საზღვარი?
თუ გირჩევნიათ, როგორც ამბობს წმინდა წერილი,
ილოცოთ მისთვის, მიუტევოთ, ვინც თქვენ არ გინდობთ.

პირველი მკვლელი

ჩვენც ხომ ხალხი ვართ, ხომ ასეა, ჩემო ბატონო!

მაკბეთი

დიახ, ასეა, თქვენც წერიხართ ხალხის სიაში!
მწევარს, ფინიას, თუ სპანიელს, ნებისმიერს,

ბანჯგვლიანია იგი მეტად თუ მთლად უბეწვო,
ჯიშინანია თუ უჯიშო, ძალს უწოდებენ.
აი შემდეგ კი, მიდის მათი დახარისხება:
ზოგი მარდია, ზოგი ნელი, ანდა ზარმაცი.
ვინ სახლს დარაჯობს, ვილაც ალბათ, კარგად ნადირობს.
იმის მიხედვით მოიქცევა თითოეული,
დააჯილდოვა თუ რა ნიჭით, უხვად ბუნებამ
თუმცა შემკრები, სიტყვა ძალლი, საერთო არის.
კაციც ასეა. თქვენი მოდგმის სიის ბოლოში
თუ არ წერიხართ, ღირსებაც გაქვთ, მაშინ მითხარით
და დაგავალეხთ ისეთ საქმეს, რომელიც მალე
ჩამოაცილებს საერთო მტერს ყველა ჩვენთაგანს.
თქვენ კი ჩემს გულში სიყვარულის გზას გაპოვინებთ.
მისი სიკვდილი ჩემი ხსნაა, რადგან სიცოცხლით
ყოფას მიწამლავს.

მეორე მკვლელი

ამ ცხოვრებამ ისე გამთელა,
უსამართლობა ყელში ისე ამომივიდა,
მზად ვარ ვიბრძოლო და ყველაზე შური ვიძიო!

პირველი მკვლელი

ჩემზე უბედურს კაცს ვერ ნახავთ დედამიწაზე.
ამ საწყალ თავზე რა არის რომ არ დატრიალდა.
სიკვდილი მიჯობს, თუ რაიმე არ შეიცვალა!

მაკბეთი

უკვე გითხარით, თქვენი მტერი მხოლოდ ბენკოა!

მეორე მკვლელი

ვიცით, ბატონო.

მაკბეთი

ჩემიც არის, თანაც მოსისხლე.
ყოველი წუთი, მის სიცოცხლეს რაც ემატება,
ჩემსას აკლდება. შემიძლია, თქვენ კარგად იცით,
რომ სულ ადვილად მოვიცილო ბენკო თავიდან,

გამოვაცხადებ თუკი სურვილს დაუფარავად,
მაგრამ ვერ ვიზამ! მეგობრები ჩვენ საერთო გვყავს.
არ მსურს ვატკინო იმათ გული და ამიტომაც,
როგორც ახლობელს, დავიტირებ... როცა მოკვდება.
ახლა ხომ მიხვდით, დანმარება რისთვის მჭირდება.
სერიოზული მიზეზი მაქვს მე ძალზე ბევრი,
რომ არ გაირკვეს ხალხის თვალში მწარე სიმართლე.

მეორე მკვლეელი

ბრძანეთ, ბატონო, და ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ!

პირველი მკვლეელი

სიცოცხლის ფასად!

მაკბეთი

აი პასუხი, ღირსეული.

შეგატყობინებთ ერთ საათში, სად ჩასაფრდებით.
ხელსაყრელ მომენტს იმ ადგილას დაელოდებით.
დღესვე, ამაღამ, დამთავრდება, რაც უნდა მოხდეს.
ციხე-კოშკისგან მოშორებით ალბათ აჯობებს.
გახსოვდეთ, ვითხოვ, ყველაფერი სუფთად შესრულდეს.
არავითარი, არავისი, კვალი არ დარჩეს!
ფლიენსი ახლავს, მისი შვილი. ამ ბნელი ღამით,
შვილმაც უთუოდ მამის ბედი გაიზიაროს.
ფლიენსის მოკვლა გამორჩევით მაინტერესებს.
კიდევ იფიქრეთ, გადაწყვიტეთ. მე კი დაგტოვებთ.

ორივე მკვლეელი

ჩვენ ყველაფერი გადავწყვიტეთ.

მაკბეთი

ძალიან კარგი,

შორს ნურსად წახვალთ და ორივეს მალე მოგიხმობთ.

მკვლელები ვადიან

დამთავრდა, ბენკო! შენ ამაღამ იმ ქვეყნად წახვალ.

სასუფეველმა თუ მიგიღო, ზეცაში ახვალ.

ვადის

სურათი II

*სხვა ოთახი იმავე სასახლეში.
ლედი მაკბეთი და მსახური*

ლედი მაკბეთი

ბენკო წავიდა სასახლიდან?

მსახური

დიახ, წავიდა,
მაგრამ ვანშმისთვის დაბრუნდება.

ლედი მაკბეთი

მეფეს უთხარი,
საქმე მაქვს მასთან. მსურს ვესაუბრო.

მსახური

ახლავე, მემ.
გაღის

ლედი მაკბეთი

რა გამოვიდა, არაფერი არ შეგვრჩა ხელში!
რაა სურვილი, თუ ვერ აღწევ კმაყოფილებას.
მოკლული კაცის მშვიდად ყოფნა რითი არა სჯობს,
ჩვენს გაურკვეველ, ეჭვით სავსე ბედნიერებას.

შემოდის მაკბეთი

ბატონო ჩემო, შეგიყვარდა განმარტოება.
სევდიან ფიქრებს საძუღამოდ უნდა მოშორდე.
ვინც აღარ არის, მასთან ერთად ეგეც დამარხე.
აღარაფერი ეშველება, რაც მოხდა, მოხდა.

მაკბეთი

გველი დავჭერთ, ვერ მოვკალით მაინც ბოლომდე.
მიფურებული სადღაც ჩუმად, ძალას მოიკრებს,
შხამს მოამზადებს. ყველაფერი არეულია!
გადამეხლართა ერთმანეთში ორი სამყარო.

ტანჯვა იქნება ჩვენი ხვედრი აქაც და იქაც.
პურს ხომ შიშით ვჭამთ, ვერ ვისვენებთ! ვერც ღამ-ღამობით!
მოჩვენებები ძილს გვიკრთობენ, თავზარდაცემულს!
ვინც გავისტუმრეთ, მას საფლავში თან გავაყოლოთ
სულის სიმშვიდე. განისვენებს იგი ნეტარად.
ალარ აშფოთებს ამა სოფლის ამაოება.
ვერც იარაღი, ვერც ღალატი, ვერც საწამლავი,
ველარასოდეს ველარაფერს ველარ დააკლებს.

ლედი მაკბეთი

მორჩი, გეყოფა, მოიცილე სახეზე დარდი.
გამხიარულდი ამ საღამოს სტუმრებთან ერთად.

მაკბეთი

კარგი ძვირფასო, ასე ვიზამ. შენც იგივეს გთხოვ.
ეცადე ბენკო შეიქციო ტკბილი საუბრით.
ფრთხილად იყავი, რადგან სანდო არავინაა!
არ გამოძულავნდეს ჩვენს სახეზე, რა გვიდევს გულში.

ლედი მაკბეთი

რა გვიდევს გულში?

მაკბეთი

მორიელები, ჩემო კარგო.
ბენკო და ფლიენს. ჯერ ორივე ცოცხალი არის.

ლედი მაკბეთი

უკვლავი კაცი არ არსებობს!

მაკბეთი

ჰო, მართალია!
ეგ მანუგეშებს. ახლა, მინდა, რომ გაგახარო.
ვიდრე ღამურა, ჩვენს გალავანს, გარს შემოუფრენს,
ჰეკატეს წვევით მოლხენილი ჭრიჭინობელა
მთქნარებ-მთქნარებით შეუდგება ზარმაცად ჭრიჭინს,
მანამდე კიდევ დამთავრდება შავბნელი საქმე!

ლედი მაკბეთი
რომელი საქმე?

მაკბეთი

ეგ არ მკითხო, ჩემო ძვირფასო.
როცა მორჩება, კმაყოფილი იქნები ფრიად!
შენ, ბნელო ღამევე, შავო ფარდავ, დაეშვი ჩქარა!
მძიძე დღეს თვალი დაუხუჭე! მიდი, დაფლითე,
მაგ სისხლიანი შენი ხელით ეს სატანჯველი!
არე-მარეზე ნაცრისფერი ბინდი ჩამოწვა.
უდაბურ ტყისკენ გაფრენილა უკვე ყორანი.
დღის სიკეთენი ნელი-ნელად ინავლებიან.
მსხვერპლს დაეძებენ, მონ-უსხული ბნელი ლანდები.
ჩემმა სიტყვებმა გაგაოცეს? წყნარად იყავი.
ავი ამბავი რაკი აგორდა, გზადაგზა ძალას
თვითონ მოიკრებს. ახლა წავედით!

სურათი III

*სასაზღვისაგან მოშორებით
შემოდის სამი მკვლეელი*

პირველი მკვლეელი

ვინ გამოგვზავნა შენ, აქ, ჩვენთან?

მესამე მკვლეელი

მაკბეთმა.

მეორე მკვლეელი

რადგან ასე სურს, რა გაეწყობა, მისი საქმე
თვითონვე იცის.

პირველი მკვლეელი

კარგი იყავი ჩვენთან ერთად!
დღის შუქი დარჩა ვიწრო ზოლად დასავლეთისკენ.

ნავიანევი მგზავრი ჩქარობს, ჭერს მიაშუროს.
ვისაც ვუცდიდით, ალბათ უკვე გვიახლოვდება!

მესამე მკვლელი

ჩჩჩ! ცხენის ხმა მესმის!

ბენკო

გარედან

მანდ ვინა ხარ, შუქი მოგვეცით!

მეორე მკვლელი

ეს ის იქნება, სხვა დანარჩენი მოსულია!

პირველი მკვლელი

ცხენები თითქოს ცალკე მოდიან!

მესამე მკვლელი

ასე იციან,

ჩამოხდებიან, სასახლემდე ფეხით მიდიან.

მეორე მკვლელი

შუქი! შუქი!

შემოდიან ბენკო და ფლიენსი ჩირაღდნით

მესამე მკვლელი

ჰო, ის არის.

პირველი მკვლელი

მოემზადეთ!

ბენკო

ამალამ ალბათ წვიმა მოვა!

პირველი მკვლელი

მოვა. მოვიდეს!

სამიენი ბენკოს მიცვივდება

ბენკო

ღალატია! ფლიენს, ჩქარა, უნდა გაიქცე!
დაიმასსოვრე, შურს იძიებ! მონავ, ლაქიავ!
ბენკო კვდება. ფლიენსი ვარბის

მესამე მკვლელი

თქვით, ჩირალდანი ვინ ჩააქრო!

პირველი მკვლელი

ასე არ ჯობდა?

მესამე მკვლელი

ერთი მოკვალით, შვილი ვერა.

მეორე მკვლელი

იმაზე გვითხრეს,
აუცილებლად მოკვალითო.

პირველი მკვლელი

რა გაეწყობა, როგორც მოხდა, ისე ვუამბოთ.
კადიან

სურათი IV

*სასახლის დიდი დარბაზი. ეშხადებიან წვეულებისთვის.
შემოდიან: მაკბეთი, ლედი მაკბეთი, როსი, ლენოქსი, დიდებულები
და მხლებლები*

მაკბეთი

თქვენი წოდება თვითონ იცით. ისე დაბრძანდით.
მოგესალმებით ყველას ერთად!

დიდებულები

გმადლობთ, მეფეო!

მაკბეთი

უნდა მიგულოთ მეც თქვენს შორის, როგორც სტუმარი.
ჩვენს დიასახლისს ჩავაბაროთ დღეს მასპინძლობა.
იმედს გამოვთქვამ, დაგვიხვდება იგი გულთბილად!

ლელი მაკბეთი

ჩემი სახელით, გთხოვ მიმართო, ძვირფას მეგობრებს
და განუცხადო, მიხარია მათთან მოლხენა!

შემოდის პირველი მკვლეელი

მაკბეთი

პასუხად ყველას სიხარულიც გულითადა!
ამ თქვენს შეჯიბრში ვერ მოიგებს ვერც ერთი მხარე.
შუაში ვდგავარ. ერთად შევსვათ, თანაც ბოლომდე.

მედიის კარისკენ

სისხლი გაცხია შენ სახეზე.

პირველი მკვლეელი

ბენკოსი გახლავთ!

მაკბეთი

კარგია, მაგრამ აჯობებდა, არ გემჩნეოდეს.
მაშ გაისტუმრე?

პირველი მკვლეელი

გამოვჭერი მე თვითონ ყელი!

მაკბეთი

რა მაგარი ხარ. თუ ფლიენსიც თვითონ მოკალი,
ორმაგად ყოჩაღ, ყელის მჭრელო საუკეთესო!

პირველი მკვლეელი

მეფევ ბატონო, ის გაგვექცა!

მაკბეთი

ისევ დავმძიმდი!

მყარად დადგომა არ შეიძლება, სალი კლდესავით!
ვერაფრით გავხდი კვლავ ჩიტივით თავისუფალი.
როგორ შემბორკეს, დამიმონეს მძიმე ეჭვებმა.
შიში მომგვარეს! ბენკოზე თქვი, ხომ კარგად არის?

პირველი მკვლელი

თხრილში წევს მშვიდად. ჭრილობა აქვს თავის არეში,
ოცი ისეთი, ეყოფოდა სასიკვდილოდ
ყველაზე მცირეც.

მაკბეთი

მაგისთვისაც მადლობელი ვარ.
მკვდარი აგდია დიდი გველი! წიწილი გასხლტა!
როცა დრო მოვა, შხამი შეილსაც მოუმწიფდება!
ჯერ არ მაშინებს სუსტი კბილი. ახლა კი წადი,
ხვალ ვისაუბროთ.

მკვლელი გადის

ლელი მაკბეთი

ჩემო კარგო მეფე-ბატონო!
რადაც ვერ გატყობ მხიარულებას. რა ფასი აქვს
ამ წვეულებას, თუ ჩვენ თვითონ, დროს ვერ ვატარებთ.
ნადიმი მხოლოდ ჭამისათვის არ იმართება.
როგორც ხორციან კერძს უხდება სუნელ-საკაზმი,
ისე შეშენის მასპინძელსაც სტუმრის გართობა.

მაკბეთი

მრჩეველო ჩემო, გემრიელო! მოგეხსენება,
მხოლოდ ჭამაში მოდის მადა! მსურს რომ გისურვოთ,
გქონოდეთ ყველას კარგი მადა.

ლენოქსი

მეფევ, დაბრძანდით!
შემოდის ბენკოს აჩრდილი და მაკბეთის სკამზე ჯდება

მაკბეთი

სასახლის ჭერქვეშ, დიდებულთა რჩეული დასი,
დღეს შეიყარა მთელი ქვეყნიდან. სამწუხაროდ,
არსად არა სჩანს ჩვენი ბენკო. ზეიმს დააკლდა.
ვუსაყვედურო მინდა იმას მოუსვლელობა.
თუმც შესაძლოა, აქვს მიზეზი.

როსი

არ ვაპატიოთ!

რადგან შეგვპირდა, მოსულიყო უნდა კიდევაც.
დავვლეთ პატივი, გთხოვთ დაბრძანდეთ, ჩვენთან მეფეო!

მაკბეთი

ადგილს ვერ ვხედავ თავისუფალს.

ლენოქსი

აი, ეს სკამი!

მაკბეთი

აბა რომელი?

ლენოქსი

აი აქა, რა დაგემართათ?

მაკბეთი

ვინ ჩაიდინა ეს, მითხარი!

დიდებულები

რაზე გვიბრძანებთ!

მაკბეთი

ვერ დამაბრალებ, სისხლიან თავს მასე ნუ აქნევ!

როსი

შეუძლოდ გახდა ჩვენი მეფე, ხომ არ დავტოვოთ!

ლედი მაკბეთი

არა, დაბრძანდით, მეგობრებო, გთხოვთ ჩვენთან დარჩეთ!
ასეთი ზნე მას, ბავშვობიდან გამოჰყოლია.
სწრაფად გაუვიდა! ყურადღება არ მიაქციოთ!
რამეს თუ ეტყვით, შეიძლება კიდეც ეწყინოს.
არა, მიირთვით! არ წახვიდეთ. – კაცი არა ხარ?

მაკბეთი

დიახ, ვარ კაცი, თან მამაცი, რადგან ვუყურებ
და ვერ მაშინებს. თვით სატანას დასცემდა თავზარს!

ლედი მაკბეთი

ისევ დაგეწყო სულელური მოღანდებები!
რამ გაგაგიჟა! მოგეჩვენა ადრე ხანჯალი,
თითქოსდა გზა რომ მიგითითა დანკანისაკენ.
მსგავსი ცრუ შიში შეიძლება იმ ზღაპარს ახლდეს,
რასაც ჰყვებიან ბუხრის პირას, ზამთრის ღამეში
ჩვენი მოხუცი ბებიები. არა გრცხვენია?!
მიშტერებისხარ ცარიელ სკამს! თან რა სახე გაქვს!

მაკბეთი

მე ნუ მიყურებ. მას შეხედე! რაო, რას ამბობ?
თუ შეგიძლია თავის ქნევა, ხმაც ამოიღე!
რა საჭიროა ან საფლავი, ანდა აკლდამა,
იქ დასვენებულ მიცვალებულს თუ ვერ აკავებს.
პირდაპირ სვაებს გადაუგდოთ მაშინ საჯიჯგნად!
აჩრდილი ქრება

ლედი მაკბეთი

სულ გააფრინე!

მაკბეთი

დამიჯერე, როგორც მე მხელავ,
ისე ვხელავდი!

ლედი მაკბეთი

ამხელა კაცს არც კი გრცხვენია!

მაკბეთი

რამდენი სისხლი იღვრებოდა უწინდელ დროშიც.
რა მკვლელობები არ ხდებოდა, უსასტიკესი!
მაგრამ თავისი წესი ჰქონდა ადრე ყველაფერს.
კაცი ტვინს თუკი დაანთხევდა, იგი კვდებოდა.
იქ თავდებოდა ყველაფერი. ახლა რა ხდება!
მკვდრები დადიან! თუნდაც ოცი ჰქონდეს ჳრილობა!
მოვა, დაჯდება შენს ადგილას და ეს ამბავი,
გასაოცარიც აღარ არის.

ლედი მაკბეთი

ჩემო ბატონო,
გელოდებიან მეგობრები!

მაკბეთი

სულ დამავიწყდა!
ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ნუ შეშფოთდებით!
სენი დამჩემდა უცნაური. ვინც კარგად მიცნობს,
მათ ეს არ უკვირთ. შეეჩვივნენ ღიღი ხანია.
სადღეგრძელოა სიყვარულის და კარგად ყოფნის!
უკვე დავჯდები ჩემს ადგილას. დამისხით ღვინო!
პირთამდე სავსე, ჩემი თასი! თქვენ გადღეგრძელებთ,
ვინც აქ ბრძანდებით! ყოველ თქვენგანს და თქვენთან ერთად,
მოდით, ბენკოსაც გაუმარჯოს, ჩვენს კარგ მეგობარს.
ნეტავ აქ იყოს! გთხოვთ მიირთვათ.

ყველანი

სიამოვნებით!
აჩრდილი ისევ შემოდის

მაკბეთი

რა გინდა ჩემგან, რას დადიხარ, გადი აქედან!
აღარ მუშაობს, ვერ გაიგე, ტვინი შენს ძვლებში!
კარგა ხანია გაგეყინა სისხლი ძარღვებში!
თვალებს ტყუილად აბრიალებ, უაზროდ მიცქერ.

ლედი მაკბეთი

ხომ ხედავთ, რა სჭირს, თუმც საშიში არაფერია.
სამწუხაროა, რომ ჩაგვშხამდა მხიარულება.

მაკბეთი

ვერცერთი კაცი ვერ მაჯობებს სიმამაცეში.
მიიღე სახე, რისიც გინდა, რუსული დათვის,
თუნდა მარტორქის, ანდა ვეფხვის, ჰაირჰანისა.
რომელიც გსურდეს, ის იყავი, ოღონდ ეგ არა!
გინდა გაცოცხლდი! მე არაფრის არ მეშინია!
ხმალდანხმალ მოდი! შემეჭიდე! თუ დამამარცხო,
მაშინ მიწოდე ქალაჩუნა. ახლა კი წადი.
მოჩვენებითი ეგ დაცინვა არ დამანახო!

ბენკოს აჩრდილი ქრება

რაკი წავიდა, კაცი გავხდი. ახლა დაბრძანდით.

ლედი მაკბეთი

ეს დარბაზობა, ყველასათვის სასიამოვნო,
სულ ჩაგვაშხამა უცნაურმა შენმა მოქცევამ.

მაკბეთი

ნახე, რა ხდება! და შენ გინდა, არ შევიმჩნიო?
ვითომც ღრუბელი გასრიალდა ზაფხულის ცაზე!
არ გამოვხატო განცვიფრებაც?! მე შენი მიკვირს,
აუღელვებლად შეგიძლია უცქირო ამას,
როცა მე შიშით გული მეღევა!

როსი

უცქიროს რას?!
(მეტი)

ლედი მაკბეთი

ნუ ეკითხებით, ცუდად ხდება, უფრო და უფრო!
ალიზიანებს შეკითხვები. გემშვიდობებით.
წესების დაცვის დრო არ არის, ახლავე წადით!

ლენოქსი

დამე მშვიდობის. ჯანმრთელობას ვუსურვებ მეფეს.

ლელი მაკბეთი

მშვიდობის ღამე გქონოდეთ ყველას.

დიღებულები და მხლებლები გადიან

მაკბეთი

სისხლი იქნება. ხომ ამბობენ, სისხლს სისხლი მოაქვს.

ქვებიც დაძრულა, ხეებს ენა ამოუდგიათ,

როდესაც მისნებს საიდუმლოს გამხელა სურდათ!

კაჭკაჭის პირით გაცნობებენ ვინ ჩაიდინა!

ყველა მკვლელობა გაცხადდება! რა დროა ახლა?

ლელი მაკბეთი

უნდა გათენდეს, სადაცაა. უკვე თენდება.

მაკბეთი

მაკლაფმა როგორ არ ინება აქ მობრძანება?

ლელი მაკბეთი

ვინმე გაგ ზავნე?

მაკბეთი

არა, მითხრეს მაგის ამბავი.

ვინმეს კი ახლა გავაგ ზავნი! ყველა ოჯახში,

თითო მსახური ჯამუში მყავს. მასთანაც იყოს.

ხვალ დილიდანვე კუდიან დებს უნდა ვესტუმრო

და ვაიძულო, ეს ამბავი ბოლომდე მითხრან.

რა საშინელიც არ უნდა იყოს მოსასმენად,

მიჯობს ვიცოდე. შორს შევეტოპე, ვეღარ ვჩერდები!

სისხლში ვიხრჩობი! გამიჭირდა, ფონს ვერ გავდივარ.

უკან ვერ ვიხევ. ძალა არ მაქვს. არ შემძლია.

აზრები მომდის უცნაური. თუ არ დალაგდა,

რა გავაკეთო აღარ ვიცი. რა გზას დავადგე!

ლელი მაკბეთი

ძილი გჭირდება. ეგ აწყნარებს ყველა სულიერს.

მაკბეთი

კარგი წავიდეთ, დავიძინოთ. გადავიღალეთ.
გამოცდილებაც ხელს არ გვიწყობს მძიმე საქმეში.
თავგზა ამიტომ ამერია. შიშმა დამჯაბნა.

სურათი V

*მინდორი. ჭექა-ქუხილი.
გამოდის ჰეკატე და სამ კუდიანს ზვლება*

პირველი კუდიანი

გაბრაზებული ჩანხარ, ჰეკატე!

ჰეკატე

არ მაქვს მიზეზი, თქვე თავგასულო,
თავქარიანო კუდიანებო?
როგორ გაბედეთ, რომ შეიტყუეთ
სიკვილ-სიცოცხლის გამოცანებში
მაკბეთი ისე, მე არ მომიხმეთ,
უზენაესი მმართველი თქვენი,
ყველა ბოროტი საქმის მომგონი!
უჩემოდ გსურდათ ავი თამაში?
ნუთუ მაჯობებთ ვინმე ამაში!
თქვენი შეცდომა კიდევ ის არი,
რომ გაისროლეთ გრძნების ისარი,
იმ კაცისაკენ, ვინაც ირჯება,
მხოლოდდამხოლოდ თავის თავისთვის!
თქვენ რა ხეირი! ახლა კი წადით,
და აქერონის მღვიმეში დამხვდით!
გამთენიისას ის თქვენთან მოვა.
სურს რომ შეიტყოს რა ბედი ელის!
თან მოიტანეთ გრძნების ჭურჭელი!
ბლომად ჩახარშეთ მიგ ყველაფერი.
მეც მალე მოვალ! უნდა მოვასწრო,

და დავასრულოთ ამ ღამით საქმე,
საბედისწერო! მთვარის კუთხეზე
წვეთი ჰკიდია უზარმაზარი!
შუადღეს მიწას უნდა დაეცეს!
თუმცა მანამდე ჩემს ხელთ იქნება!
ისეთი გრძნების ნახადი არის,
მთვარის ის წვეთი, საშინელ ხილვებს
გამოიწვევს, ჭკუაზე შეშლის
და მის დალუპვას გარდუვალს გახდის!
თავბელს დასწყევლის, სიკვდილს ინატრებს,
მაგრამ იმედი მოჩვენებითი,
ჭკუას, ღირსებას, შიშს დაუსუსტებს.
თქვენ მაინც იცით, მოკვდავი ცდება,
უსაფრთხოება რომ ჰგონია ურყევი ცნება!

ისმის სიმღერა: „მოდი ჩქარა, მოდი, მოდი...“

ჩუმად! მეძახის პატარა სული,
ნისლში ღრუბელზე შემოსკუპული.

გადის

პირველი კუდიანი

უნდა ვიჩქაროთ. ცოტა ღრო გვაქვს.
დაბრუნდება ძალიან მალე!

გადიან

სურათი VI

ფორესი. სასახლის დარბაზი.

შემოდის ლენოქსი და კიდევ ერთი დიდებული

ლენოქსი

რაც მე გიაბზე, ათას რამეს გაფიქრებინებს!
რომ დაუკვირდე, გაცდები. მთელი ამბავი
ვითარდებოდა უცნაურად. ქველი დანკანი
მაკბეთმა ისე დაიტირა, ისე იგლოვა...
კიდევ კარგი რომ, მკვდარი იყო და არ ესმოდა.

მამაცი ბენკო! ბნელ ღამეში, რას დადიოდა!
დაგიშლის ვინმე, თუკი იტყვი, რომ ბენკო შვილმა,
ფლიენსმა მოკლა? ფლიენსი ხომ, გაპარულია!
არ ვარგა, არა, სიარული დაღამებულზე!
ღონაღბენმა და მისმა ძმამ, თუ მამა მოკლეს,
ვერაგობაა! ამას ვინ არ დაეთანხმება!
ჩვენი მაკბეთი, მგლოვიარე, როგორ მოიქცა!
დამნაშავენი გულმოკლულმა იქვე ჩახოცა.
საქციელია ღირსეული, თან ჭკვიანური!
შეძლებდა ვინმე მოეთმინა თავისმართლების
ლულული ყალბი! ყველაფერი კარგად მოაწყო!
მეფის შვილები მას გაურბიან. ღმერთმა ნუ ქნას,
ხელში ჩაიგდოს. იმათ აჩვენებს, რა მოჰყვება,
მამის მკვლელობას. ემუქრება ფლიენსს იგივე.
ხმის ამოღებას ვინ გაბედავს! სიმართლის თქმისთვის,
თან კიდევ ალბათ იმის გამო, რომ გაუბედა
და არ ეახლა მტარვალს ნადიმზე, ისე განრისხდა,
რომ მაკლაფიც გაქცეულია. შენ ხომ არ იცი,
ვის შეაფარა იმან თავი?

დიდებული

ტახტის მემკვიდრე,
მაკბეთის გამო მიმაღული, ინგლისში არის!
მეფე ედვარდ-ალმსარებელი, დიდი პატივით
მასპინძლობს თურმე! უფლისწული რომ არ დაჩაგროს,
ბედისწერის უკუღმართობამ! მაკლაფი ალბათ
მასთან წავიდა, რომ ევედროს ინგლისის მეფეს,
ნორთამბერლენდის გრაფი სიუარდ შემოგვაშველოს.
იქნებ გვეღირსოს მშვიდი ძილი და მოსვენება!
ნადიმს, თავშეყრას, სისხლი, დანა აღარ მოსდევდეს!
წყალობა გვერგოს, ყველას ერთგულ სამსახურისთვის,
რაც ასე ძლიერ მოგვენატრა. ეს ყოველივე,
როცა შეიტყო, ჩვენი მეფე განრისხებულა.
უბრძანებია, ომისათვის მოემზადეთო.

ლენოქსი

მაკლაფთან ვინმე გაავზავნა?

დიდებული

გაუგზავნია.
უპასუხია მას გადაჭრით, მე არ მოვალღო.
გატრიალებულს თურმე ზურგი შეუქცევია.
შიკრიკმა მხრები აიჩეჩა, თითქოს ამბობსო,
ამ საქციელზე რას მიიღებ, თვითონ იციო!

ლენოქსი

კარგი უქნია, თუ მოშორდა აქაურობას.
ყოვლადწმინდაო ანგელოზო, შენ დაიფარე!
ნეტავ მშვიდობით ჩააღწიოს ინგლისის კარზე!
ღმერთო, მოწყალედ გადმოხედე ამ ჩვენს ქვეყანას!
ტირანის ხელში რა დღეშია!

დიდებული

ვილოცებ მისთვის.

მეოთხე მოქმედება

სურათი I

*ბნელი გამოქვაბული, შუაში დიდი ქვაბი დულს. ქუხს.
შემოდის სამი კუდიანი*

პირველი კუდიანი

კატამ იკნავლა სამჯერ!

მეორე კუდიანი

სამჯერ! ზღარბმა კი ერთხელ!

მესამე კუდიანი

იძახის, დროა, დროა!

პირველი კუდიანი

ქვაბის გარშემო წრე უნდა შევკრათ,
რომ მაგიური სამსალა შევქმნათ.
ცივი ქვის ქვეშ შეფარულო გომბეშო!
მთელი თვეა შხამს იგროვებ კანში.
გამოფხიზლდი, მწარე გესლით ავსებულო,
სულ პირველი შენ ჩახტები ქვაბში!

ერთად

მეტი შრომა, მეტი ჯაფა,
მეტი ცეცხლი ქვაბს და ფაფას!

მეორე კუდიანი

შენ, ჭაობის გველხოკერას სუკო!
აქ, ამ ქვაბში უნდა ჩაიხრუკო!
ტრიტონის თვალი, ბაყაყის ცერი,
ხვლიკის თათი და ჭოტის ბუმბული,
ჯარბის ნესტარი, ასპიტის შხამი,
ძაღლის ენა და ღამურას ბეწვი,
ქვაბო აზილე და ერთად შეწვი!

რომ არ დააკლდეს სამსალას ძალი,
ჯოჯოხეთური შევეუნთოთ ალი!

ერთად

მეტი შრომა, მეტი ჯაფა,
მეტი ცეცხლი ქვაბს და ფაფას!

მესამე კუდიანი

გველეშაპის ქერცლი და
ბოროტი მგლის ეშვები!
შენც, ჯადოქრის მუმიავ,
ქვაბში გადაეშვები!
დაწინწკლული კონიოს
შხამიანი ძირები,
ბნელ, უმთვარო ღამეში
ტყეში ამოთხრილები!
მკრეხელობით განთქმული
ებრაელის ღვიძლი!
ესეც თათრის ტუჩია!
ეს ურჯულოს ცხვირი!
აჰა, კუჭი ზვიგენის,
დიდი მლაშე ზღვისა!
ამ მაჭიკთან ერთად,
ნაღვლის ბუშტი თხისა!
აი თითი, თოთო ჩვილის,
მეძავის მომხრჩვალი შვილის.
გზისპირას დაბადებულის
და თხრილში გადაგდებულის!
ვეფხვის ნაწლავიც დავურთოთ ლაბში,
რომ შევასქელოთ ნახარში ქვაბში!

ერთად

მეტი შრომა, მეტი ჯაფა,
მეტი ცეცხლი ქვაბს და ფაფას!

მეორე კუდიანი

ბაბუნის სისხლი მისცემს
მტკიცე ძალას ამ სამსალას!

შემოდის ჰეკატე

ჰეკატე

ყოჩაღ! მშვენივრად გიმუშავიათ
და შეგერგებათ, ის რაც გერგებათ.
ახლა ქვაბს ვუთხრათ თავის სიმღერა,
დაიმსახურა მანაც შექება.
აბა, სუყველამ ერთად უნდა დაიწყოს,
მისნობამ ძალა უკეთ აიღოს!

მღერიან „ბნელი სულების“ სიმღერას. ჰეკატე გადის

მეორე კუდიანი

აი, ცერი გამიშეშდა!
აქეთ მოდის ვილაც ეშმა.
ვინც გინდა იყოს,
კარი გაიღოს!

შემოდის მაკბეთი

მაკბეთი

თქვე შუალამის აღქაჯებო, ავო სულებო,
რას აკეთებდით?

ერთად

რალაც საქმეს, უსათაუროს!

მაკბეთი

რა ჯადოს ძალით გამოგინხმეთ, თვითონაც იცით!
როგორც ინებებთ, გაარკვიეთ! ჩემი ამბავი
უნდა შევიტყო! ატეხეთ თუნდაც ქარიშხალი!
არ მენალვლება, დაანგრიოს ყველა ტაძარი!
ოკეანის და ზღვის ტალღები ისე აზვირთდეს,
რომ ყველა გემი, ერთდროულად, ფსკერზე წავიდეს!
არას დავეძებ პურის ყანის სრულიად მოსრას!

დედამიწაზე ყოველი ზის ძირითვე მოთზრას!
სასახლეები, ციხე-კოშკით, ნანგრევად იქცეს!
პირამიდები საძირკველში ერთად ჩაიქცეს!
რაც გინდათ ქენით, ვიდრე ნგრევა არ მოგბეზრდებათ!
მთელ ამ სამყაროს შევიძლიათ ლახვარი ჩასცეთ!
ჩემს შეკითხვაზე ოლონდაც კი პასუხი გამცეთ!

პირველი კუდიანი

თქვი!

მეორე კუდიანი

შეგვეკითხე!

მესამე კუდიანი

ჩვენ ვიპასუხებთ!

პირველი კუდიანი

რა გირჩევნია, ჩვენგან შეიტყო,
თუ მათგან, ვისაც ვემსახურებით?

მაკბეთი

გამოიძახეთ, ვინ არიან, ერთი შევხედო!

პირველი კუდიანი

ღორის სისხლი ჩაასხით,
ცხრა შვილი რომ შეჭამა!
სახრჩობელას ძელის ქონი,
შთანთქოს ცეცხლის ენამა!

ერთად

ქვესკნელში ხარ თუ ზესკნელში, გამოდი!

დაიქუხებს. მოდის მოჩვენება: მუზარადიანი თავი

მაკბეთი

გამაგებინე, შენ იღუმალო, უცხო ძალავ.

პირველი კუდიანი

ჩუმაღ იყავი, ფიქრები ესმის!
თუ აქვს სათქმელი, თვითონვე გეტყვის.

მოჩვენება

მაკბეთ! მაკბეთ! მაკბეთ! უფროსილდი მაკდაფს!
არ უნდა ენდო ფაიფის თენს! ახლა წავედი.

მაკბეთი

ვინც გინდა იყო, დიდად გმადლობ გაფრთხილებისთვის.
შენი სიტყვები ჩემს შიშს ზუსტად ეხმიანება!
ისიც მითხარი, ძალიან გთხოვ

პირველი კუდიანი

არ ჭრის აქ თხოვნა!
მეორე მოდის, ვინც წავიდა, მასზე ძლიერი!
დაიქუხებს. მეორე მოჩვენება, სისხლიანი ბავშვი

მოჩვენება

მაკბეთ! მაკბეთ! მაკბეთ!

მაკბეთი

ყური რომ მქონდეს ნეტავ სამი, უკეთ გავიგებ?!

მოჩვენება

გწყუროდეს სისხლი! ნუ დაიხევ ნურასდროს უკან!
სხვათა ძალ-ღონეს შეგიძლია ზიზღით დასცინო!
ქალის ნაშობი ვერასოდეს ვერაფერს გავნებს!
ჩადის

მაკბეთი

იცოცხლე, მაკდაფ! შენი თურმე არ მეშინია.
თუმცა ურიგო არ იქნება, ბედს დავეხმარო!
თავი ორმაგად დავიზღვიო. სჯობს მოკვდე, მაკდაფ!
არ დაძვლებო გული შიშით, და ტკბილი ძილი,
ჭექა-ქუხილშიც არასოდეს არ გამიკრთება!
ნეტავ ვინ მოდის?

დაიქუბებს. მესამე მოჩვენება, გვირგვინოსანი ბავშვი.

ხელში ხე აქვს

სხვა მონარქის შთამომავალი?!

თავზე სამეფო, დიდებული გვირგვინი ადგას!

ერთად

კარგად უსმინე, შენ გაჩუმდი!

მოჩვენება

ძალა გაქვს ლომის!

არ შეგაშინოს შეთქმულებამ! შენ ძლიერი ხარ!

ყურს ნუ დაუგდებ სხვათა ქილიკს! რაც უნდათ, ის თქვან.

მაკბეთს ვერავინ მოერევა! ვიდრე არ ავა,

ბირნემის დიდი, უღრანი ტყე დანსინების

მაღალ მთაზე და, არ წამოვა!

ჩადის

მაკბეთი

ეგ არ მოხდება.

ვის გაუგია, ტყე დაიძრას და წამოვიდეს!

ხეებს მიწაში ღრმად არა აქვთ ფესვი გადგმული?!

ტკბილი კი იყო მოსასმენად, რაც შენ მითხარი.

ვერც ამბოხება შემაშინებს! ვინ რას დამაკლებს!

ვიდრე ბირნემის ტყე სიარულს არ შეუდგება.

დიდებულ მაკბეთს ახლა მხოლოდ ის დარჩენია,

მინიჭებული დრო და ჟამი სიამით განვლოს!

ოღონდ, რატომღაც, გული ითხოვს კითხვაზე პასუხს!

გამაგებინეთ, უნდა მითხრათ! ამ ქვეყანაში

თუ გამეფდება ვინმე ბენკოს შთამომავალი.

ერთად

მეტს ვერ შეიტყობ, ტყუილად ცდილობ!

მაკბეთი

მითხარით ასე არ არის-თქო და დავწყენარდები!

ხმა ამოიღეთ, ჯანდაბაში წასულხართ ყველა!

ეს ქვაბი რატომ იძირება? რა ხმაურია?

ისმის ჰობოის ხმა

პირველი კუდიანი
ამოდით!

მეორე კუდიანი
ამოდით!

მესამე კუდიანი
ამოდით!

ერთად
ენვენეთ, გული აევსოს დარდით!
ლანდებად მოდით, ასევე წადით!

*გამოდის რვა მეფე. ერთიმეორის მიყოლებით გაივლიან სცენაზე.
უკანასკნელს ხელში სარკე უკავია. მას მოსდევს ბენკო*

მაკბეთი
როგორ მაგონებ ბენკოს აჩრდილს, იქით გამშორდი!
გვირგვინის ცქერა თვალებს მიწვავს! შენი წარბები,
და ეგ შენი თმა, პირველისას ძალიან გიგავს!
მესამეც მათ ჰგავს! ალქაჯებო, კუდიანებო!
თქვით, რას მიჩვენებთ! ეს მეოთხე! რა ამბავია,
ასე ივლიან უსასრულოდ, განკითხვის დღემდე?
შემდეგი მოდის! მეშვიდეა და მგონი მორჩა!
არა, გამოჩნდა! ესეც მერვე! თან სარკე მოაქვს!
ამ სარკეშიაც მათი მსგავსნი ირეკლებიან.
ზოგს ხელთ უპყრია მეფის სფერო-თანაც ორმაგი,
და სამი სკიპტრა. საშინელი ამბავი მამცნეთ!
ახლა ვიჯერებ, სიმართლეა ეს ყველაფერი!
ბენკო დამცინის! ნაშეერთა გრძელ რიგს მიჩვენებს!
ლანდები ქრებიან

ასე იქნება?

კუდიანი
დიახ სერ, ასე!
დარჩა მაკბეთი გაოგნებული!

მოდი გუნება გამოვუკეთოთ,
რა შეგვიძლია ისევ ვუჩვენოთ.
ვიდრე იცეკვებთ და იტრიალებთ,
ზეცას მუსიკით ავახმიანებ.
ნუ ვათქმევინებთ დიდებულ მეფეს,
აქ მას პატივი რომ არ მიაგეს.

ისმის მუსიკა. კუდიანები ცეკვავენ. შეძლებ ქრებიან

მაკბეთი

გაუჩინარდნენ. ისევ გაქრნენ. როგორ დამთარსეს!
ეს ავბედი დღე კალენდარში უნდა აღვნიშნო,
ვით დაწყევლილი სამუდამოდ. მანდ რომელი ხარ?

ლენოქსი

რაშე მიბრძანეთ?

მაკბეთი

დაინახე, კუდიანები?

ლენოქსი

არა, მეფეო!

მაკბეთი

ჩაგიარეს ამ წუთას გვერდით!

ლენოქსი

ნამდვილად არა, აქ არავინ არ დამინახავს!

მაკბეთი

წყეულიმც იყოს ავი ნისლი, რითიც დაქრიან!
ვინც მათ ენდობა, ჯანდაბაში წასულა ყველა!
ცხენის ფეხის ხმა გავიგონე. ვინმე მოვიდა?

ლენოქსი

შიკრიკი იყო. მოიტანა თქვენთვის ამბავი.
მაკლაფი თურმე ინგლისშია.

მაკბეთი

ინგლისს წასულა?

ლენოქსი

დიახ, მეფეო. ასე გვითხრეს!

მაკბეთი

თურმე წასულა!

საშინელ საქმეს ვაპირებდი, დრომ არ მაცალა!
რაა განზრახვა, ან სურვილი, თუ არ შესრულდა!
ამიერიდან გულის წადილს ხელს დაგავალებ.
სიტყვების ნაცვლად საქმე უნდა! ფაიფს ავიღებ!
თავს დავესხმები მაკდაფის კოშკს მოულოდნელად.
ხმალზე ავაგებ იმის ცოლსაც, იმის შვილებსაც!
უბედურ სულებს მივაყოლებ ერთიმეორეს.
არ დაუტოვებ შთამომავალს არცერთს ამქვეყნად!
არას მარგია ეს ლაქლაქი. საქმეს შევუდგეთ!
მოჩვენებები არ მჭირდება. წამო, წავიდეთ!
ის ჯენტლმენები სად არიან. ისინი ვნახოთ.

სურათი II

*მაკდაფის ციხესიმაგრე
შემოდინან ლედი მაკდაფი, მისი ვაჟიშვილი და როსი*

ლედი მაკდაფი

ისეთი რა ქნა, რომ ქვეყნიდან გაქცეულიყო!

როსი

მემ, მოთმინება უნდა გქონდეს.

ლედი მაკდაფი

იმას ჰქონოდა!

რა სიგიჟეა, არაფერი ჩაუდენია!
უბრალო შიშმა მოლალატელ გადააქცია.

ლედი მაკლაფი

მამა აღარ გყავს!

ახლა რას იზამ, რას აპირებ? როგორ იცხოვრებ?

შვილი

ჩიტვივით, დედა!

ლედი მაკლაფი

უნდა ჭამო ბუხი და მატლი?

შვილი

მხოლოდ ისა ვთქვი, როგორც შევძლებ, ისე ვიქნები!

ლედი მაკლაფი

საბრალო ჩიტო, არ გაშინებს შენ არც ხაფანგი,
არც მონადირე და არც იმის ბაღეში გაბზა?

შვილი

პატარა ბარტყებს არ უგებენ ხაფანგებს, დედა.
არც მამაჩემი არის მკვლარი. ამას ნუ ამბობ!

ლედი მაკლაფი

არა, მკვლარია! თქვი, უმამოდ რა გეშველება?

შვილი

შენ რას აპირებ, თუკი ქმარი შენ აღარა გყავს?

ლედი მაკლაფი

რამდენსაც მინდა, ქმარს ვიყიდი ყველა ბაზარში.

შვილი

ადვილად ნაყიდს, სულ ადვილად გაყიდი ისევ.

ლედი მაკლაფი

როგორ ჭიკჭიკებ. რა ჭკუა გაქვს ასე პატარას!
საოცარია!

შვილი

დედა, მამა მოლალატეა?

ლელი მაკდაფი

მოლალატეა!

შვილი

ეგ რას ნიშნავს, ვის ეწოდება?

ლელი მაკდაფი

ვინც დაიფიცა და იცრუა

შვილი

მოლალატეა?

ლელი მაკდაფი

ღიას ასეა და ღირსია, რომ ჩამოახრჩონ!

შვილი

ტყუილად ვინც კი დაიფიცებს, ის ჩამოახრჩონ?

ლელი მაკდაფი

ღიას! ყველანი!

შვილი

მერე, ვის აქვს მაგის უფლება?

ლელი მაკდაფი

ვის და წესიერ, პატიოსან ადამიანებს!

შვილი

მატყუარები სულელიც ყოფილან თურმე!

რადგან ეგენი გაცილებით მეტნი არიან.

იქით მიტყვიპონ, თუ ვინმეა პატიოსანი

და ჩამოახრჩონ!

ლედი მაკდაფი

ამ მაიუნს უშველე, ღმერთო!
უმაძოდ როგორ უნდა იყო, შენ ის მითხარი.

შვილი

შენ არ ტირიხარ. ალბათ მამა მკვდარი არ არის!
ანდა სულ მალე მეყოლება ახალი მამა.

ლედი მაკდაფი

აბა რას რომავ, არც კი გესმის, ჩემო პატარა.
შემოდის მაცნე

მაცნე

ღმერთმა დაგლოცოთ, ქალბატონო. თქვენ მე არ მიცნობთ.
მე კარგად ვიცი, ვინ ბრძანდებით და თუ მენლობით,
უნდა გაცნობოთ, რომ ხიფათი გიანხოვდებათ.
ახლობელი ვარ. გთხოვთ, ჩემს რჩევას ყური მიუგდეთ.
აქაურობას გაეცალეთ! ახლავე, სწრაფად!
შვილებთან ერთად! კარგად მესმის, სისასტიკეა
თქვენი ესოდენ შეშინება, მაგრამ მერწმუნეთ,
კარს მოგდგომიათ უარესი. შორს აღარ არის!
ღმერთმა გიშველოთ! დრო არ ითმენს! უნდა წავიდე!
მაცნე გადის

ლედი მაკდაფი

საით გავიქცე? ანდა რატომ! რა დავაშავე!
თუმცა რა მიკვირს, ამ ჩვენს ცოდვილ დელამიწაზე,
განა არ ვიცი, ბოროტებას ხოტბას ასხამენ,
ხოლო სიკეთეს კი ჩაქოლვით ემუქრებიან.
მაშ რას დავმდგარვარ და ვკითხულობ, „რა დავაშავე“?
ქალის სისუსტეს ფარად მაინც ვერ ეფარება!
ნეტავ ესენი ვინ არიან?

შემოდის მკვლელები

პირველი მკვლეელი

სად არის ქმარი?

ლედი მაკდაფი

ისეთ ადგილას, იმედია, ის არ იქნება,
რომ მიაწვდინოს შენისთანამ ბინძური ხელი.

პირველი მკვლეელი

იცე თუ არა, შენი ქმარი მოლალატეა!

შვილი

ვილაც, ოხერო, როგორ ტყუი, შე გაბურძგვნილო!

პირველი მკვლეელი

რა ბევრს ტლიკინებს, თანაც ჯერ არ გამოჩეკილა,
ეს მოლალატის ნაშიერი!

ჩასცემს ხანჯალს

შვილი

დედა, მე მომკლა!

უნდა გაიქცე!

*ბიჭი კვდება. ლედი მაკდაფი გარბის. ყვირილით
„გვეკლავენ!“. მკვლელები მისდევენ.*

სურათი III

*ინგლისი. მეფის სასახლე
შემოდინ მალკოლმი და მაკდაფი*

მალკოლმი

მოდე ჩამოვსხდეთ სადმე წყნარად, იქნებ ტირილით,
შევძლოთ რომ გული მოვიოხოთ.

მაკდაფი

მაგას ისა სჯობს,
მოვიქცეთ როგორც კაცს შეჰფერის, ხმალი ავიღოთ!
გადავარჩინოთ განწირული ჩვენი ქვეყანა!
ყოველი დილა ახალ ქვრივთა ზართ თენდება,

რასაც ობოლთა ტირილის ხმაც ზედ ემატება!
ეს უნუგეშო მწუხარება ზეცამდე აღწევს.
ცაც საპასუხოდ არემარეს ქუხილით აქცევს,
რომ თანაუგრძნოს სკოტლანდიას ტკივილით სავსეს!

მალკოლმი

მეც გულით ვგლოვობ, რამაც ნაღველს დაურთო სევდა,
და მჯერა იმის, რაშიც ეჭვი არ მეპარება.
აღბათ ისეა ყველაფერი, როგორც მიაძმე.
ბევრი რამ უნდა შეიცვალოს! მღვთმარეობას
შევცვლი ნამდვილად! როცა დრო მოვა! თუმცა ტირანი,
რომლის სახელსაც ვეღარ ამბობს ენა ადვილად,
ყველას მიაჩნდა წესიერ კაცად. შენც ხომ გიყვარდა?
მას შენთვის ხელი არ უხლია, როგორც მე ვხედავ.
ჯერ ყმაწვილი ვარ, მაგრამ ვინ ვარ, მშვენივრად ვიცი!
ჩემგან რა გინდა? უსუსური, უმანკო კრავი
დაგჭირდა აღბათ! ვით ტარიგი, შენს ღმერთს მიაართვა!
მსხვერპლად შესწირო! განრისხებულს გული მოუგო!

მაკლაფი

მე მოლალატე არ გახლავარ!

მალკოლმი

მაკბეთი არის!

უზუნაესთა მძიმე წნეხით ბევრი გამტყდარა.
მრუდე გზაზე ხომ, წესიერი კაციც შემდგარა!
ბოდიშს მოგიხდი. თუმცა რაც ხარ, მაინც ისა ხარ!
ჩემი ნათქვამით არ იცვლება შენი ბუნება.
ანგელოზები, მართალია, მუდამ ბრწყინავენ,
მაგრამ ძალიან კაშკაშებდა, ის, ვინც დაეცა!
რაგინდ მიიღოს ბოროტებამ სათნო იერი,
მაინც დარჩება სათნოება მისსახიერი!

მაკლაფი

ვატყობ, იმედი მეკარგება!

მალკოლმი

ჰო, იმ ადგილას,
სადაც ვიპოვე მე ეჭვები! გამაგებინე,
იქ, ჯოჯოხეთში, რად დატოვე ცოლი, შვილები,
რაც რამ გაგაჩნდა შენ ძვირფასი, სათაყვანები.
ამ ჩემს სიფრთხილეს ნუ მიიღებ შეურაცხყოფად.
იქნება ცამდე მართალი ხარ, მე არ გენდობი!

მაკლაფი

ჩემო ქვეყანავ, დაიწრიტე სისხლისგან ბარემ!
მიდი, გალალდი, ბოროტებავ. ფრთები გაშალე!
მაშ იბატონე, ტირანიავ, როგორც გენებოს!
სად აქვს სიმართლეს იმის ძალა, შენ შეგებრძოლოს!
თქვენ კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონიშვილო.
ოღონდ იცოდეთ, არ გახლავარ ის არამზადა,
ვისაც ტირანი მოისყიდის ოღესმე რამით,
გინდაც მომართვას მთლად სამეფო, ახლა რომ მართავს,
აღმოსავლეთის საგანძურნიც ზედ დააწონოს!

მალკოლმი

შეურაცხყოფის მოყენება არ მიფიქრია.
და არც ის მითქვამს, რომ ბოლომდე არ გენდობი-თქო!
ქვეყანა გატყდა, მეტისმეტად მძიმე უღელქვეშ.
ცრემლსაც ღვრის, სისხლსაც! ემატება ძველ იარებზე
ისევ იარა! ვიცი, მომხრე ბევრი მყავს იქაც.
ინგლისის მეფემ, ღვთისნიერმა, დასახმარებლად
დიდძალი ჯარი გულითადად შემომთავაზა.
საქმე ის არის, მინდა გითხრა, თუნდ დავამარცხო,
მოვკლა, ავკუწო, მე ტირანი, ხმალზე ავაგო,
ეს ვერ უშველის ჩვენს სამშობლოს, რადგან საბრალო
უარეს დღეში აღმოჩნდება. დაისადგურებს
უთვალავი უკეთურება! ახალი მეფე
დაგვატენს თავზე სხვა გასაჭირს.

მაკლაფი

ეგ ვინ იქნება?

მალკოლმი

ჩემს თავზე ვამბობ, რა თქმა უნდა. სხვას არ ვგულისხმობ.
მანკიერება გამაჩნია ათასი ჯურის.
მათ გზა რომ მივცე, ხალხს ძველი დრო მონატრება!
შავი მაკბეთი სპეტაკ თოვლად მოეჩვენება!

მაკლაფი

თვით ჯოჯოხეთის უსაშინლეს ლეგიონებშიც
ვერ იპოვი ისეთ სატანას, რომელიც მაკბეთს
ბოროტებაში გადააჭარბებს!

მალკოლმი

გეთანხმები!

სისხლისმსმელია, მეტად ფლიდი, ხარბი, ავხორცი,
გაუტანელი, ღვარძლიანი. თუკი არსებობს
რაიმე ცოდვა ბუნებაში, მასშია ყველა.
მაგრამ ჩემს ვნებას, უნდა გითხრა, ფსკერი არა აქვს.
მიყვარს ქალები! თქვენი ცოლი, ქალიშვილები,
ნებისმიერი ქალბატონი, მისი მხევალი,
შეეწირება ავხორცობას! მე ვერაფერი
ვერ შემაჩერებს. ასეთ მეფეს რითი არა სჯობს
მითხარ, მაკბეთი.

მაკლაფი

ყოველივე ზღვარს გადასული,
ბუნებას უცვლის ადამიანს, ტირანად აქცევს.
რამდენმა მეფემ, მაგ მიზეზით, ძალიან ადრე
დაკარგა ტახტი. მაგრამ მაინც, ეგ ნუ გაშინებს.
უნდა აიღო, რაც გეკუთვნის, აუცილებლად!
ისე ღაიცხრო შენი ვნება, ამის შესახებ
ვერაფერი შეიტყოს ხალხმა, მშვიდი ეგონო!
ბევრი იქნება ქალბატონი, რომელიც მეფეს
თავს მიუძღვნიდა თავის ნებით, სიამოვნებით.
არა მგონია სვაკი იყო, გაუმაძღარი,
იმაზე მეტი გადასანსლო, ვინც ღავთანხმდება.

მალკოლმი

რა ვქნა, სიხარბე მეძალეა, უკიდევანო!
მეფე თუ გაგხდი, დიდებულებს არ გაგახარებთ.
წაგართმევთ მიწას, ციხე-კოშკებს და ძვირფას ნივთებს.
მადა თანდათან გამეზრდება, მეტს მოვინდომებ!
ავუმხედრდები უსამართლოდ, ჩემს უერთგულეს,
უსათნოეს და, კეთილშობილ ქვეშევრდომებსაც!

მაკლაფი

სიხარბემ იცის, მეტისმეტად ღრმად იღვამს ფესვებს.
ცოტა ახერხებს გაერიდოს ავ ჟინს და ლტოლვას.
რამდენი მეფე ექცა მსხვერპლად ბიწიერებას!
თუმცა, ნურც მაგის, ნუ გეშინია, სკოტლანდია
მდიდარი არის! სულ ადვილად მოიკლავ წყურვილს!
მთელი ქვეყანა შენ გეკუთვნის! რას არ ავიტანთ,
რადგან სიკეთე გადასწონის ალბათ მრავალი.

მალკოლმი

არცერთი არ მაქვს. არადა მეფე უნდა იყოს
სამართლიანი, თანაც მტკიცე, შეუღრეკელი,
უხვად მოწყალე, ხელგაშლილი და თავმდაბალი!
სულგრძელი დიდად, ღვთისმოყვარე, მხნე და მამაცი!
რაც ჩამოვთვალე, სამწუხაროდ, ასეთი არ ვარ!
სამაგიეროდ ავკაცობის ბევრი გზა ვიცი!
ძალაუფლებას თუ ავიღებ, გეტყვი რას ვიზამ!
სულის სიმშვიდეს სამუდამოდ დაგაკარგინებთ,
ალში გაგახვევთ ჯოჯოხეთის. ავურდავურევ
მაგ თქვენს ერთობას!

მაკლაფი

სკოტლანდიაე! ო, სკოტლანდიაე!

მალკოლმი

მაშ ჩემნაირი, ღირსი არის ქვეყანა მართოს?
აბა რას იტყვი? როგორიც ვარ, პირდაპირ ვამბობ!

მაკლაფი

ქვეყანა მართოს? თვით სიცოცხლის ღირსიც არ არის.
საბრალო ხალხო, უბედურო, რა გეშველება!
დარჩენილი ხარ სისხლისმსმელი მტარვალის ხელში!
არ გელირსება შენ არასდროს მშვიდი ცხოვრება!
მეფობა არ სურს კანონიერ ტახტის მემკვიდრეს,
განზე გამდგარა შერისხული საკუთარ ნებით!
მეფეთა შორის, მამაშენი იყო წმინდანი.
დედოფალი კი, ისე ხშირად ფეხზე არ მდგარა,
როგორც მუნღებზე და სიცოცხლე ლოცვაში განვლო.
მშვიდობით იყავ! რაც მითხარი საკუთარ თავზე,
ეგ ყველაფერი იქ დავტოვე, ჩვენს ქვეყანაში!
გულში იმედის ნატამალიც კი აღარ შემრჩა!

მალკოლმი

მაკლაფ, მაგ შენმა გულწრფელობამ, პირდაპირობამ,
დაუფარავმა აღშფოთებამ და აღელვებამ
ბნელი ეჭვები გამიფანტა! ახლა კი, მჯერა,
რომ არ მატყუებ. მაკბეთმა ვინ არ გამომიგზავნა!
რამდენჯერ სცადა, დემონური თავის ხრიკებით,
ხელში ჩაეგდებ! არ ავჩქარდი! ჭკუა ვინმარე
და არ მივენდე. მოციქული მე და შენს შორის,
მხოლოდ დმერთია! შენი სიტყვა, ამიერიდან,
კანონი არის და ჩემი თავიც მომინდვია!
სულ ტყუილია ყველაფერი, რასაც ვამბობდი.
ის საშინელი სიბინძურე, რაც დავიბრაღე,
უცხოა ჩემთვის, მთელი ჩემი არსებისათვის!
არც ქალი ვიცი ჯერ რა არის და არც ტყუილზე
დამიფიცია არასოდეს. არათუ სხვისას,
ჩემს ქონებასაც არ შევცქერი მე ხარბი თვალით
და ცხოვრებაში არავისთვის მიღალატია!
თავად ეშმაკსაც სხვა ეშმაკთან არ დავაბეზლებ!
სიმართლე მიყვარს ისე ძლიერ, როგორც სიცოცხლე!
ის სისულებლე სულ პირველი ტყუილი იყო.
აი ახლა კი, ხელავ სახეს, რაც ნამდვილად ვარ.
შენს ხელში არის ჩემი თავიც, ჩვენი ქვეყანაც.

როცა მოხვედი, მეომარი ათი ათასი,
საუკეთესო, მზადა ჰყავდა მოხუც სიუარდს,
გასალაშქრებლად. ერთად წავალთ უკვე ყველანი!
არ შეიძლება თან არ სდევდეს ბედის წყალობა
ჩვენს მართალ საქმეს. ჩუმად რატომ ხარ?

მაკლაფი

დავიბენი!

სულ ამერია ერთმანეთში კარგი და ცუდი.
შემოდის ექიმი

მალკოლმი

ამაზე შემდეგ ვისაუბროთ. მაინტერესებს,
ხომ არ აპირებს მეფე გარეთ გამობრძანებას?

ექიმი

ღიას, აპირებს. სნეულები ელოდებიან,
უნდა განკურნოს! უძღურია სადაც წამლობა,
შეხება კმარა მისი ხელის, სენი განდევნოს,
ღიღი ძალა აქვს უფლისაგან მინიჭებული.

მალკოლმი

გმაღლობთ ექიმო!

ექიმი გადის

მაკლაფი

რომელ სენზეა საუბარი?

მალკოლმი

საყმაწვილოს რომ უწოდებენ. ამ კეთილ მეფეს
ძალუმს მოხდენა სასწაულის. რაც ინგლისში ვარ,
ხშირად მინახავს ჩემი თვალით ეს საოცრება.
მხოლოდ მან უწყის, როგორ სთხოვოს ზეცას ეს მაღლი,
რათა უშველოს შეპყრობილებს სიმსივნით, წყლულით,
ვისაც ქირურგი ხელს არ ჰკიდებს! შემზარავია
დასანახადაც, იარები იმ უბედურთა!

ოქროს ფირფიტას ჰკიდებს გულზე და იწყებს ლოცვას.
ამბობენ, თითქოს შეუძლიაო, ამ ლოცვის ძალა
შთამომავლობას გადასცესო. გარდა ამისა,
შესწევს უნარი ნათელხილვის. როგორც მე მითხრეს.
ბევრი ღირსებით შემკულია და ხელდასხმული.
მეფეა მართლაც დიდებული.
შემოდის როსი

მაკლავი

ნახე, ვინ მოდის!

მალკოლმი

სკოტლანდიელი. სამწუხაროდ, მე მას არ ვიცნობ.

მაკლავი

ჩემო ძვირფასო ნათესავო, კეთილი იყოს
ჩამობრძანება შენი ინგლისს!

მალკოლმი

მგონი ვიცანი.
ღმერთო, გვიშველე და მიზეზი აღგავე მალე,
ერთმანეთისგან ჩვენი ასე გაუცხოების!

როსი

ამინ!

მაკლავი

რა ხდება, მოგვიყვი, სკოტლანდიაში!

როსი

ჩვენი ქვეყანა, საცოდავი, თვითონაც ვერ ცნობს
მის საკუთარ თავს! აღარ არის ის ჩვენი დედა!
აღბათ უფრო საფლავი ეთქმის. კაცს ვერსად ნახავ,
რომ სახეზე ღიმილი ჰქონდეს! მხოლოდ გოდება
გაისმის ყველგან. ჰაერს ავსებს წივილ-კივილი.
ასეთი ყოფა გადაგვექცა ცხოვრების წესად!

მოთქმას და გლოვას ყურადღებას არავინ აქცევს.
არვინ იკითხავს, ვისთვის რეკს ზარი. სიცოცხლე ქრება
იმაზე ადრე, ვიდრე დაჭკნება გარჭობილი
ქულში ყვავილი!

მაკლაფი

საშინელი ამბები ხდება!

მალკოლმი

ყველაზე ცუდი უახლესი ამბავი გვითხარ.

როსი

ერთი საათის წინანდელიც უკვე ძველია,
რადგან ყოველ წუთს შეიძლება მოხდეს ახალი!

მაკლაფი

ჩემი მეუღლე როგორ არის?

როსი

ის კარგად არის.

მაკლაფი

ჩემი შვილები?

როსი

ჰო, ისინიც არიან კარგად.

მაკლაფი

არ დაარღვია ჯერ ტირანმა მათი სიმშვიდე?

როსი

ველარ დაარღვევ, მათ სიმშვიდეს. მშვიდად არიან.

მაკლაფი

რალაცას მალავ. თქვი, რა ხდება! დროზე მითხარი.

როსი

გზაზე ვიდექი, მოვდიოდი, რომ მომეტანა
უსაშინლესი რამ ამბავი. ყური მოვკარი
ჭორს აგორებულს, თითქოს იმას, გაეცალენო
დიდებულები. და მეც ვფიქრობ, ასე იქნება.
ტირანის ჯარი, თვითონ ვნახე, საომრად არის
გამზადებული. უცილობლად ჩარევის დროა!
სკოტლანდიაში შეიძლება ჯარის მოკრება!
ომში ქალებიც მოგვეყვებიან, ოღონდაც რამემ
უშველოსო, ჩვენს გაუსაძლის მდგომარეობას!

მალკოლმი

მაგ ნუგემს მალე მიიღებენ! უკვე მივდივართ!
კეთილმოსურნე ინგლისმა მოგვცა მეომარი
ათი ათასი, რომელთაც სარდლობს სიუარდი,
უმამაცესი, უხუცესი, რომლის ბადალი
საქრისტიანოს არ უნახავს!

როსი

ნეტავ შემეძლოს,
მეც ვთქვა რაიმე საპასუხო, ნუგემსაცემი!
ანდა გავფანტო უდაბნოში ჩემი სათქმელი,
რომ ყურთასმენას ვერ მიეკაროს!

მაკლაფი

ვის ეხება?
ზოგადად ყველას, თუ ეკუთვნის ვილაცას ცალკე,
გულისტკივილი საშინელი.

როსი

პატიოსან კაცს,
ალბათ სუყველას შეეხება, მაგრამ შენია
უმთავრესად ეს მწუხარება!

მაკლაფი

თუ ჩემი არის,
მაშინ ასე რატომ აყოვნებ, დროზე მითხარი!

როსი

არ შეიძულოს ჩემი ენა შენმა ყურებმა,
რომ გავაგონებ ასეთ ამბავს, თავზარდამცემსა!

მაკლაფი

მგონი მიგიხვდი, უკვე ვიცი, რაც უნდა მითხრა.

როსი

შენს ციხე-დარბაზს თავს დაეცნენ მოულოდნელად!
ამოგიჟლიტეს ერთიანად, ცოლიც, შვილებიც!
როგორც მღევარი დასდევს ნადირს, ისე მისდიეს!
შენ დაგეძებდნენ მოსაკლავად.

მალკოლმი

მოწყალე ღმერთო!
რისი გულისთვის! კაცი ჭირში უნდა გამაგრდეს.
ხმა ამოიღე, გზა მიეცი შენს მწუხარებას!
თორემ გაივსო ჯავრით გული და ვერ გაუძლებს!

მაკლაფი

ჩემი შვილები!

როსი

შვილებიც, ცოლიც, მსახურებიც.
ვინც იქ დახვდა, ყველა მოკლეს!

მაკლაფი

მე სად ვიყავი!
ცოლი მომიკლეს?

როსი

ხომ გითხარი!

მალკოლმი

უნდა გამაგრდე!
მოვიფიქროთ, შური როგორ უნდა ვიძიოთ!

მაკლავი

შვილები არ ჰყავს! სულ ყველანი? ყველა მომიკლა?
მითხარი, ყველა? სისხლისმსმელო ბოროტო სულო!
ჩემი ბარტყები გამიჟლიტე, დედა-ბუდიან ?

მალკოლმი

პასუხი უნდა, საკადრისი!

მაკლავი

მიიღებს კიდეც!
მაგრამ განცდას, ადამიანურს, რა მოუხერხო?!
მათზე ძვირფასი ქვეყანაზე რა მახადია!
ღმერთო, ხედავდი რა ხდებოდა, არ მიეშველე?!
ცოდვილო მაკლავ! დაიხოცნენ შენი გულისთვის!
არარაობა! აი რა ვარ! ჩემი ბრალია!
რა დაამავეს! მათი სული აცხონე, ღმერთო!

მალკოლმი

ეგ მწუხარება მრისხანებად გადააქციე.
მძვინვარე გული შენს ხმაღს ძალას გაუორმაგებს!

მაკლავი

დედაკაცივით დამისველდა მართლაც თვალები!
არ მინდა მოგყვე მე მუქარას ცარიელ სიტყვით.
ღმერთო, ერთსა გთხოვ, შენ მოაწყვე, შევხვდე პირისპირ,
მე მაგ მტარვალს სკოტლანდიისას! თუ მოხდა ისე,
რომ ჩემი ხმლის წვერს გადაურჩა შეჭიდებისას,
მიუტევე მისი ცოდვები!

მალკოლმი

ასე ჯობია!
წავედით, მეფე გველოდება! ჯარიც მზად არის!
ის დაგვრჩენია, გზას გავუღვეთ დაუყოვნებლივ.
მოგვივართ, მაკბეთ! დათვლილი გაქვს უკვე დღეები!
ზეცაში წყდება სწორედ ახლა, შენ რა მოგელის!
ნუგეშს თუ მოგვგვის, ეს არ ვიცი, თუმცა კი გეტყვი,
გრძელი აქვს ღამე, გათენება არ უწერია.

მეხუთე მოქმედება

სურათი I

*დანსინეინი. ოთახი ციხე-სიმაგრეში
შემოდის ექიმი და ლუდი მაკბეთის სეფექალი*

ექიმი

უკვე ორი ღამეა, ერთად ვათენებთ, მაგრამ რაც მითხარით, იმაში ვერ დავრწმუნდი!
ბოლოს როდის ნახეთ მოსიარულე?

სეფექალი

რაც მისი უდიდებულესობა ომში წაბრძანდა, მას შემდეგ რამდენჯერ ვნახე,
ღამით ადგა, ხალათი ჩაიცვა, საწერი მაგიდა გასხნა, ქალაღი აიღო,
რალაც დაწერა,
წაიკითხა, ბოლოს დალუქა კიდეც და ისევ დაწვა. საქმე ისაა, რომ ყველაფერს მძინარე აკეთებს!

ექიმი

ბუნების წესის დარღვევაა, გეძინოს და თან ფზიზელივით იქცეოდე!
მაგ ძილ-ღვიძილში, გარდა იმისა, რომ დადის და რალაცას აკეთებს,
თან ხომ არ ლაპარაკობს ხოლმე, თუ გაიგონეთ?

სეფექალი

ღიას, სერ, მაგრამ ვერ გავიმეორებ!

ექიმი

ჩემთან შეგიძლიათ თქვათ. მე უნდა მითხრათ!

სეფექალი

ვერც თქვენ გეტყვით და ვერც სხვას. მოწმე არა მყავს, რომ ნათქვამი ღამიდასტუროს!

შემოდის ლუდი მაკბეთი კანდელით ხელში

შეხედეთ, მოდის! აი ასე დადის! მზად ვარ დავიფიცო, ღრმა ძილშია.
კარგად დააკვირდით. ახლოს მიდით!

ექიმი

ეს სანათური სად იპოვა?

სეფექალი

სულ თავთან უდგას – ასე გვიბრძანა!

ექიმი

თვალი გახელილი აქვს!

სეფექალი

ღიას, მაგრამ ვერაფერს ხედავს.

ექიმი

რას შვრება, ხელებს ისრისავს!

სეფექალი

ასე აკეთებს. თითქოს იბანს. დიდხანს არ გაჩერდება. ერთხელ მთელი თხუთმეტი წუთი იხეხავდა.

ლელი მაკბეთი

ლაქა მაინც მაქვს!

ექიმი

ჩუ, რალაცას ამბობს. რამე არ გამომჩნეს!

ლელი მაკბეთი

მომშორდი, წყეულო ლაქა, მომშორდი-მეთქი! ერთი. ორი. დროა, საქმეს შევუდგეთ! ჯოჯოხეთში რა საშინელი სიბნელეა! არა გრცხვენია, ჩემო მეუღლე, ვის გაუგია მეომარი ასე მშიშარა?! გაიგებენ? მაგის გეშინია? ჩვენ მაინც ვერაფერს გაგვიბედავენ! ვინ იფიქრებდა, ბებერს ამდენი სისხლი ექნებოდა!

ექიმი

ეს რა თქვა!

ლედი მაკბეთი

ფაიფის თენს ცოლი ჰყავდა. ახლა სად არის? ოოოჰ, ამ ხელებს რამე გაასუფთავენს!? კარგი, კარგი, მოვეშვათ! ასე თუ იკანკალებ, მაგ შიშით ყველაფერს ჩაშლი!

ექიმი

მიდი, თქვი ბარემ! რა ჩაიღინე, რაც არ უნდა გექნა!

სეფექალი

ამბობს, რაც არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ჩაიღინა თუ არა, მხოლოდ ზეცამ იცის!

ლედი მაკბეთი

ისევ სისხლის სუნია! მთელი არაბეთის ნელსაცხებლებიც ვეღარ მისცემენ ამ პატარა ხელს ტკბილ სურნელებას! ოოხ! ოოხ! ოოხ!

ექიმი

ოხრავეს! გულზე ლოდივით აწევს რაღაც.

სეფექალი

ასე მძიმე გულს არ ვისურვებდი, თუნდაც მაგისი წოდება და ყველა სიკეთე მქონდეს.

ექიმი

ჰო, ჰო!

სეფექალი

ღმერთმა ყველას აშოროს, სერ!

ექიმი

ამ დაავადებას მე ვერ ვუშველი. მინახავს ძილში მოსიარულენი, ბოლოს წმინდანებით რომ განუტევეს სული თავიანთ სარეცელზე.

ლედი მაკბეთი

ხელები დაიბანე! ღამის სამოსი ჩაიცვი. ნუ ხარ ასე გაფითრებული. რამდენჯერ გითხრა, ბენკო დამარხეს! საფლავიდან ვერ წამოდგება!

ექიმი

ასეა საქმე?

ლედი მაკბეთი

დავწვეთ, დავწვეთ! ალაყაფის კარს აბრახუნებენ. მოდი, მოდი, მოდი, მოდი, მომეცი ხელი. რაც მოხდა, მოხდა! აღარაფერი ეშველება. დავწვეთ. დავწვეთ. დავწვეთ!

გაღიხ

ექიმი

ანლა რას იზამს, დაწვება?

სეფექალი

ღიას.

ექიმი

ცუდი ამბები სულ ჩურჩულთ გავრცელდა ხალხში. სულიერ ტანჯვას ცოდვა იწვევს! გონება წვალობს და საიდუმლოს მხოლოდ თავის მუნჯ ბალიშს ანდობს. ექიმი ამას ვერ უშველის. მოძღვარი უნდა. უფალო, ყველას მოგვიტევე ცოდვები ჩვენი! თვალი ადევნეთ, თავს რაიმე არ აუტეხოს. ღამე მშვიდობის. ამ ამბავმა, რაც მე აქ ვნახე და მოვისმინე, ისე შემძრა, თქმას ვერ გავბედავ. თუ რას ვფიქრობ.

სეფექალი

მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ექიმო!

გაღიას

სურათი II

დანსინენთან შორიახლოს. დაფდაფებით და დროშებით შემოდიან მენტითი, კეითნესი, ენგუსი, ლენოქსი და მეომრები.

მენტითი

ინგლისის ჯარი მოახლოვდა. წინ მოუძღვინა, მალკოლმი, სიუარდ - ბიძამისი და გმირი მაკდაფ. შურისძიებით ანთებულებს სისხლი სწყურიათ! მიზეზიცა აქვთ, შეურაცხვეს რადგან სასტიკად და დაამცირეს!

ენგუსი

უნდა შევხვდეთ ბირნემის ტყესთან!
იქ შევერთდებით. ახლა სწორედ ამ გზით მოდიან.

კეითნესი

ღონალბენი არის ძმასთან? ვინ იცის რამე?

ლენოქსი

არა, არ არის. მე ვიცი ყველა დიდებული, მათ რომ მოყვება. იქ არის ვაჟი სიუარდის. ბევრნი არიან ყმაწვილები, ვინც განაცხადა, გვსურს რომ ვიბრძოლოთ, პატარები უკვე არ ვართ!

მენტითი

ტირანი რას იქმს?

კეითნესი

გამალებით ამაგრებს ციხეს!
შეიშალაო, ასე გვითხრეს. ხოლო ისინი, ვისაც ნაკლებად სძულდა იგი, გაიძახიან, ეს გაშმაგება სიამაცის ნიშანიაო. ერთი ცხადია, თავს ვერაფრით ვერ იმორჩილებს.

ენგუნი

მშვენივრად იცის რა დღეშია. მოკლულთა სისხლი
აღარ სცილდება ხელებიდან. ვერცერთ იმ ცოდვას,
რაც ჩაიდინა, ვერასოდეს ვერ დაივიწყებს!
ქვეშევრდომები მორჩილებენ მხოლოდ ბრძანებას,
რადგან არავის სიყვარული მისი არა აქვს.
ხოლო ღირსება ტანზე უკვე ისე ჰკიდია,
როგორც ჩია ქურდს გოლიათი მეფის მანტია.

მენტითი

მამ რატომ გიკვირთ, უბედური ასე რომ შფოთავს.
თავი უსკდება, ტვინი უღულს, გზას ვეღარ ხედავს.
აღბათ განუდგა, აუჯანყდა ხორციც და სულიც.

კეითნესი

ეგ მხოლოდ მისი პრობლემაა, ჩვენ კი იქ დავდგეთ,
სადაც გვმართებს ვიმყოფებოდეთ. მას ვემსახუროთ,
ვინც გადაარჩენს სნეულ ქვეყანას. სამშობლოსთვის
სისხლი გავიღოთ.

ლენოქსი

მიწა მოვრწყოთ, ყოველი წვეთით!
ბალი ვახაროთ, სარეველა უნდა გავმარგლოთ!
ბირნემისაკენ, ყველა ერთად, მწყობრი ნაბიჯით!
ვადიან მარშით

სურათი III

*დანსინეინი. ოთახი ციხე-სიმაგრეში.
შემოდიან მაკბეთი, ექიმი და მხლებლები*

მაკბეთი

აღარაფერი მომახსენოთ, მომშორდით ყველა!
ვიდრე ბირნემის ტყე არ მოვა დანსინეინში,

არ მეშინია. ის მალკოლში ვერაფერს მიზამს!
ეგ ლაწირაკიც ქალმა შობა! გრძნეულმა დებმა,
კარგად იციან ყველაფერი მოკვდავთ შესახებ!
მათ ასე მითხრეს, არ შეშინდე, ქალის ნაშობი
შენ ვერასოდეს ვერ გავნებსო! ასეც იქნება!
ჩემო თენებო, მიღალატეთ? ახლა წადით და
გაერთიანდით ეპიკურელ ინგლისელებთან!
ჩემი გონება, ჩემი გული, არ შეირყევა.
ვერ შემაშინებს ვერაფერი! ვერ მომერევა!
შემოდის მსახური
ეგ პირისახე რა ეშმაკმა გადაგიშავა?
ბატს რატომ ჰგავხარ?

მსახური

მოდის, ათასი!

მაკბეთი

ვინა, ბატი?

მსახური

ჯარისკაცი, სერ!

მაკბეთი

დაიჩქმიტე, მიდი, ლოყები!
მამლის კუჭვივით ლურჯი გახდი! ჯარისკაციო?
რა ჯანდაბა გჭირს! რა მკვდარივით გაფითრებულხარ!
ხალხს გულს უხეთქავ! ჯარისკაცი?! რა ჯარისკაცი!

მსახური

ინგლისელები მოდიან სერ, ინგლისის ჯარი!

მაკბეთი

წადი გამშორდი! გამეცალე!

მსახური გადის

სეიტონ! იცი,

რომ ჩაფიქრდები, გული მტკივა, სეიტონ-მეთქი!

ბოლო ბრძოლაა! ან სიკვდილი, ან გამარჯვება!
რა გრძელი იყო ეს ცხოვრება! უკვე გაყვითლდა,
იწყო დაჭკნობა, ფოთოლივით. აქვთ სიბერეში,
პატივისცემა, სიყვარული. ჰყავთ მეგობრები!
მე არ მექნება არაფერი. ამის ნაცვალი,
ხალხის წყევლაა. პირში არა! მხოლოდ ზურგსუკან!
ფარისევლობენ, პატივს მცემენ. საცოდავები!
შიში ყველაფერს გაიძულებს! სეიტონ, სად ხარ!
შემოდის სეიტონი

სეიტონი

რამე გნებავდათ, თქვენო უდიდებულესობავ?

მაკბეთი

აბა, რას მეტყვი?

სეიტონი

სიმართლეა, რაც მოგახსენეს!

მაკბეთი

ვიბრძოლებ, ვიდრე სული მიდგას! ჩემი აბჯარი!

სეიტონი

ვფიქრობ ჯერ აღრე უნდა იყოს!

მაკბეთი

მაინც ჩავიცვამ!

მხედრები უნდა დააგ ზავნოთ ყველა კუთხეში.
შიშით შეპყრობილს თუ ნახავენ – სახრჩობელაზე!
აბჯარი-მეთქი! თქვენს ავადმყოფს რა სჭირს, ექიმო?

ექიმი

ავად არ გახლავთ. აწუხებენ მოლანდებები.

მაკბეთი

ჰოდა, განკურნეთ მაგისაგან. ნუთუ ვერ შველით,
როცა გონება სნეულდება?! უძლური ხდებით?

სევდის მიზეზებს ვერ აცილებთ მესსიერებას?!
ამოუგლიჯეთ, ამოფხიკეთ ტვინში ნალველი!
წამალი რამე მოუძებნეთ, რომ დააწყნაროს
და გულზე ლოდი მოაშოროს!

ექიმი

თუ ავადმყოფმა,
თავის თავს თვითონ არ უშველა, ეგ არ გამოვა!

მაკბეთი

რის მაქნისია მაშ წამალი, ძალღებს მიეცით!
მოდის ჩამაცვი საჭურველი! კვერთხი სად არის!
ხალხი გაგ ზავნე? მიმატოვეს, იცით, ექიმო,
ჩემმა თენებმა. რაც გითხარი, სასწრაფო არის!
ნეტავ შეგეძლოთ დიაგნოზის დასმა ქვეყნისთვის.
გაგეგოთ რა სჭირს, რა წამალი მოუხდებოდა.
ტაშს დაგიკრავდით. მთელი ხალხი მე ამყებოდა.
შენ ეს გამხადე! მოვარჩინოთ! რით ვუპკურნალოთ?!
მივცეთ რევანდი, სინამაქი. სასაქმებელი!
ღიას, ნამდვილად ეგ გვჭირდება. კარგად გაგვწმინდოს
ინგლისელთაგან. რომ მოდიან, უკვე შეიტყვეთ?

ექიმი

თქვენი ღირსება ემზადება რაკი ამგვარად,
რალაცას ვხვდები!

მაკბეთი

წამომიღეთ ეს ყველაფერი!
არც ჩემი მოკვლა, არც მოწამვლა, არ გამოგივათ!
დანსინეინში ბირნემის ტყე თუ არ მომივა!

გადის

ექიმი

თავისთვის
ნეტავ მშვიდობით გავალწევდე. უნდა წავიდე!
რა უნდა მომცენ, რომ ოდესმე აქ შემოვიდე!

გადის

სურათი IV

*დანსინენთან ახლოს. მოჩანს ტყე.
დაფდაფებით, დროშებით, შეძლიან მალკოლმი, სიუარდი, სიუარდის
ვაჟი, მაკლაფი, მენტითი, კეითნესი, ენგუსი, ლენოქსი, როსი და
მეომრები, მარშით*

მალკოლმი

მალე დადგება ნანატრი დღე! საკუთარ ჭერქვეშ,
ყველა უშიშრად დავიძინებთ!

მენტითი

ასე იქნება!

სიუარდი

ის რა ტყე არის, იქ რომ მოჩანს?

მენტითი

ბირნემის ტყეა!

მალკოლმი

ჯარისკაცებმა დაატეხონ ხეებს ტოტები.
როცა შევუტევთ, აიფარონ. მტერს მოვატყუებთ.
მათ სათვალავი აერევათ!

ჯარისკაცები

როგორც გვიბრძანებთ.

სიუარდი

შეგვატყობინეს, რომ მტარვალი გამაგრებულია
დანსინენში! ჩვენს იერიშს იქ ელოდება.

მალკოლმი

რისი იმედი უნდა ჰქონდეს, ყველა განუდგა!
ზოგი ამკარად, ვინ ფარულად. ვინც გვერდით შერჩა,
არა მგონია უერთგულოს.

მაკლაფი

ბოლოს ვიმსჯელოთ!
მოვლენებს მივყვეთ, გვირჩევნია. თქვენ ყველამ იცით,
სასტიკი ბრძოლა გველოდება!

სიუარდი

დადგება ის დრო,
როცა მოხდება მოსახდენი. მაშინ შევიტყობთ,
რაც გვეკუთვნოდა, გვერგება თუ, აღარ გვერგება!
ახლა ეს ფუჭი საუბარი სულ არ გვჭირდება.
ომი დამთავრდეს! ყველაფერი იქ გაირკვევა!
გადიან მარშით

სურათი V

*დანსინეინის ციხესიმაგრე.
შემოდინ მაკბეთი, სეიტონი და ჯარისკაცები, დროშებით და
დაფლაფებით*

მაკბეთი

გალავნის თავზე გადაჰკიდეთ ჩვენი დროშები.
ისევ გვაცნობეს, მოდიანო! მტკიცე ციხეზე
სასაცილოა იერიში. მათ ისლა დარჩათ,
იდგნენ ალყაში. ამოხოცავს მალე შიმშილი,
ანდა ციება. შევხვდებოდით ხელჩართულ ომში,
ჩვენები რომ არ მიმხრობოდნენ! მაშინ ენახათ!
საკადრის პასუხს მიიღებდნენ!

ისმის კვილი

ეს რა ხმა იყო?

სეიტონი

ქალმა იკივლა!

გადის

მაკბეთი

შიშის გემო გადამავიწყდა!
ოღესლა, ღამით, ფაჩუნის ხმა თუ ჩამესმოდა,
გული საგულეს აღარ იყო. ამეშლებოდა
ტანზე ბალანი, სახიფათო ამბის სმენისას.
რაც ჩავიდინე, იმის შემდეგ, ამ ჩემს ბოროტ ტვინს
აღარაფერი არ აშინებს.

შემოდის სეიტონი
რა აყვირებდათ?

სეიტონი

ჩემო ბატონო, დედოფალი გარდაიცვალა.

მაკბეთი

მერეც შეეძლო მომკვდარიყო! დრო მოვიდოდა!
ხვალ. ან იმის ხვალ. ან იმის ხვალ. სულ ხვალე, ხვალე!
ასე გარბიან ეს დღეები, უჩუმრად, ნელა!
ამასობაში, დგება წამი უკანასკნელი!
დღე გუშინდელი, გზა ყოფილა, რომელიც ბრწყვებს
გაკვირბრალდნეს, დამნაცრავი სიკვდილისაკენ!
მოკლე სანთელი, ჩაქრე შუქი! სიცოცხლე თურმე
მოსიარულე აჩრდილია! საცოდავი მსახიობივით
სულ სცენაზეა, ოინბაზობს, ვილაცას ართობს.
მერე გაქრება, არ ყოფილა თითქოს არასდროს.
როგორ მიაგავს იდიოტის მონათხრობ ამბავს,
სავსეს ხმაურით, მძვინვარებით. აზრი არა აქვს.

შემოდის შიკრიკი

რა ამბავია, თქვი, რა გინდა, ჩქარა მითხარი!

შიკრიკი

ჩემო ბატონო,
ვიცი, რომ უნდა მოგახსენოთ, რაც დავინახე,
მაგრამ არ ვიცი, როგორ გითხრათ...

მაკბეთი

მიდი, თქვი, დროზე!

შიკრიკი

სერზე ვიდექი საგუშავოდ. ვიცქირებოდი
ბირნემის ტყისკენ. მომეჩვენა, თითქოსდა უცებ,
ის ტყე დაიდრა, წამოვიდა!

მაკბეთი

ნუ ტყუი, მონავ!

შიკრიკი

თავზე დამატყდეს თქვენი რისხვა, თუ მე ვტყუოდე.
სამ მიღზე არის აქედან და, თვითონ განედეთ!
ტყე ამოდრავდა!

მაკბეთი

რასაც ამბობ, თუ სიცრუეა,
იცოდე, ხეზე ჩამოგკიდებ და იქანავებ,
ვიდრე შიმშილით არ მოკვდები! თუ მართალია,
მე ჩამომკიდე! ნებას გაძლევ! თავგზა ამებნა.
რა დავიჯერო, აღარ ვიცი. უკვე ეჭვი მაქვს,
კუდიანებმა ყველაფერი ორაზროვნად თქვეს.
სიმართლეს ჰგავდა ის ტყუილი: 'ნუ შეშინდები,
ვიდრე ბირნემის ტყე არ მოვა დანსინენში'!
აჰა, ტყე მოდის! უნდა დავხვდეთ! შეიარაღლით!
მორჩა, გათავდა! აღარ მინდა აღარაფერი.
მზემაც დამლალა. ეს სამყარო როგორ მომბეზრდა!
განგაშის ზარი შემოჰკარით, დაჰბერე ქარო!
სიკვდილი მოდის, მეომარი ბრძოლაში კვდება!

გაღიან

სურათი VI

*სურათი იგივე. ციხის წინ.
დაფდაფებით და დროშებით შემოდიან მალკოლმი, სიუარდი, მაკლაფი
და სხვები, ხის ტოტებით ზელში.*

მალკოლმი

თითქმის მოვედით! მოიშორეთ ეგ საფარველი!
სახე ვუჩვენოთ, თუ ვინა ვართ! ძვირფასო ბიძავ,
ჩემს ბიძაშვილთან, კეთილშობილ თქვენს შვილთან ერთად,
წინ გაგვიძეხი! ღირსი მაკლაფი და ჩვენ ყველა,
ვიმოქმედებთ, როგორც შევთანხმდით!

სიუარდი

აბა, მშვიდობით!
ამდამ ტირანს ჩვენ პირისპირ, ბრძოლით შევხვდებით!
დაე დავმარცხდეთ, გამარჯვება თუ ვერ შევძელით!

მაკლაფი

ერთად ჩაჰბერეთ ყველა საყვირს! მივცეთ ნიშანი
ბრძოლის დაწყების და სიკვდილის მაუწყებელი!
გადიან. საყვირების ხმა გრძელდება

სურათი VII

*სურათი იგივე, სხვა ადგილი
შემოდის მაკბეთი.*

მაკბეთი

როგორც ნადირი, ჩინში ისე გამომიმწყვდიეს!
მეც გავმხეცდები და ამ ბრძოლას მაინც მოვიგებ!
არსებობს ვინმე, არნაშობი დედაკაცისგან?
არ არსებობს! ჩემი მომრევი ვინ უნდა იყოს!
შემოდის სიუარდის კაჟი

ახალგაზრდა სიუარდი

თქვი, შენ ვინა ხარ?

მაკბეთი

რომ გაიგებ, შიშით მოკვდები!

ახალგაზრდა სიუარდი

ყველას რომ ჯობდეს ჯოჯოხეთში, მაინც მითხარი,
რადგან ვერაფრით შემაშინებ!

მაკბეთი

მე მაკბეთი ვარ.

ახალგაზრდა სიუარდი

თვით სატანას რომ წარმოეთქვა თავის სახელი,
არ იქნებოდა საზიზლარი ამაზე მეტად!

მაკბეთი

„უფრო საშიში“ უნდა გეთქვა!

ახალგაზრდა სიუარდი

არა, ჯალათო!

და ჩემი ხმალი დაამტკიცებს ამას ახლავე!

იბრძვიან, მაკბეთი კლავს ახალგაზრდა სიუარდს

მაკბეთი

შენც ქალმა გშობა, როგორ ყველა! რა სეირია!

ფუჭად ტრიალებს თქვენი ხმალი, ქალთა ნაშობნო!

ვადის. საყვირის ხმაზე შემოდის მაკდაფი

მაკდაფი

სად ხარ, მტარვალო! ჩემი ხელით უნდა ჩაძაღლდე,

რადგან ცოლ-შვილის აჩრდილები ვერ ისვენებენ!

დაქირავებულ ირლანდიელთ მე არ დავხოცავ!

კეზით იბრძვიან. მხოლოდ ერთ კაცს დაემებს ხმალი!

ბრძოლის ყიჟინა სადაც ისმის, ალბათ იქა ხარ!

ამას გთხოვ მხოლოდ, შემახვედრე პირისპირ, ღმერთო!

*გადის.
საყვირის ხმაზე შემოდინ მალკოლმი და სიუარდი*

სიუარდი

აქეთ მობრძანდით! რა იოლად გვბარდება ციხე!
ტირანის ხალხი ჩვენ მოგვემხრო თითქმის მთლიანად.
თენებმა თავი დიდებულად გამოიჩინეს!
სულ ცოტა დარჩა, გამარჯვება უკვე თქვენია!

მალკოლმი

ისეთი მტერი აღმოგვაჩნდა, რომ ჩვენ მოგვემხრო!

სიუარდი

წამობრძანდით, სერ, ციხე-კოშკში უნდა შევიდეთ!
გადიან. მოისმის საყვირი

სურათი VIII

შემოდის მაკბეთი

მაკბეთი

ერთი სულები რომაელი სენატორივით,
ჩემს თავს მე თვითონ არ მოვიკლავ! ამას ჯობია
სხვები დავხოცო!

შემოდის მაკლაფი

მაკლაფი

შემობრუნდი, ცერბერო, ჩემსკენ!

მაკბეთი

შენთან შეხვედრა არ მინდოდა! გთხოვ, გამეცალო!
თქვენების სისხლმა დამიმძიმა ისედაც სული!

მაკლაფი

პირსისხლიანო! გიპასუხებს ახლავე ხმალი!

იბრძვიან

მაკბეთი

ამაო არის შენი გარჯა! როგორც ამ ჰაერს,
ისე ჩემს სხეულს, ვერას აკლებს ბასრი მახვილი!
ჯადო-თილისმით დაცული ვარ! ვერ შემეხები!
და ჩემი მჯობი ვერ გახდება ქალის ნაშობი!

მაკლაფი

გაგცუდება მაშ თილისმა! ნუთუ ალქაჯმა,
ვისაც შენ ასე ემსახურე, არ მოგახსენა,
რომ მე, მაკლაფი, დროზე აღრე ვარ ამოყვანილი
დელის მუცლიდან!

მაკბეთი

წყეულიმც იყოს შენი ენა!
ეგ რა მითხარი! სულ გამიქრა, თუ კიდე მქონდა,
რამე კაცური. როგორ ვენდე თვალთმაქც ორპირებს!
ჩაგრურჩულებენ ჯერ კარგ რამეს, მერე კი იმედს
იქვე გიმსხვრევენ. არ ვაპირებ მე შენთან ბრძოლას!

მაკლაფი

თუ ასე გინდა, მაშ დამნებდი, მხდალო, ლაჩარო!
და სამარცხვინოდ დაიტოვე შენი სიცოცხლე.
სვეტზე მიგაკრავთ, ყველამ ნახოს, თუ როგორია
კაცი-ურჩხული. ზედ დაგაწერთ, „კაცი-სატანა“!

მაკბეთი

ეგ არ მოხდება! დაგნებდე და, იმ ლაწირაკის,
მალკოლმის ფეხით მიწა ვკოცნო?! თან ხალხმა მწყევლოს?!
დაე მოვიდეს ბირნემის ტყე დანსინეინში!
და შენც არა ხარ, როგორც ამბობ, ქალის ნაშობი!
რა გაეწყობა, უნდა ვცადო უკანასკნელად!
აი ამ ფარის ამარა ვარ! მაშ მოდი, მაკლაფ!
წყეულიმც იყოს, შეჩერდიო, ვინც დაიძახოს!

*ბრძოლით გადიან
დროშებით და დაფდაფებით შემოდინ მალკოლში, სიუარდი, როსი,
ლენოქსი, ენგუსი, ქეითენსი, მენტითი და მეომრები*

მალკოლში

ყველას ვერ ვხედავთ. ვისურვოთ რომ, უვნებლად იყვნენ!

სიუარდი

ცოცხალი ყველა ვერ იქნება, თუმც როგორც ვხედავ,
არ უნდა იყოს დანაკარგი ძალიან დიდი.

მალკოლში

არ სჩანს მაკდაფი და არც შენი გულადი ვაჟი.

როსი

მისი მხედრული ვალი, მილორდ, დღეს თქვენმა ვაჟმა,
გამორჩეულმა სიმამაცით და რაინდობით,
ფრიად პირნათლად მოიხადა! იგი იბრძოდა
თავგანწირვით და

სიუარდი

დაიღუპა?

როსი

საუბედუროდ!

ბრძოლის ველიდან მოასვენეს. თქვენს მწუხარებას
მისი ღირსებით თუ გავზომავთ, ბოლო არა აქვს!
უსაზღვრო არის და არასდროს არ დასრულდება.

სიუარდი

ის დაჭრილი წინიდან იყო?

როსი

დიახ. შუბლშია.

სიუარდი

რახან ასეა, უფლის მხედრად დაბადებულა!

ვაჟი იმდენი რომ მყოლოდა, რაც თმა მაქვს თავზე,
უკეთეს სიკვდილს ვერცერთ მათგანს ვერ ვუსურვებდი.
ჩამოურეკეს უკვე ხარი აღსასრულისა!

მალკოლმი

გამოვიგლოვოთ უნდა იგი დიდი პატივით!

სიუარდი

მეტი პატივი რაღა გინდათ, ხომ გაიგონეთ,
როგორ პირნათლად განემორა ის წუთისოფელს!
ღმერთო, აცხონე! მოაქვთ შვება ჩემი სულისთვის!
შემოდის მაკლაფი. შემოაქვს მაკბეთის თავი

მაკლაფი

დიდება მეფეს! ჩვენი მეფე ახლა შენა ხარ!
აჰა, შეხედეთ! მოძალადის წყეული თავი!
ბოლოსდაბოლოს გვაქვს ნანატრი თავისუფლება!
დღეს ჩვენს ქვეყანას ღირსეული წინამძღოლი ჰყავს.
მთელ ერს მივმართავ, მისალმებას შემოუერთდით,
„დიდება მეფეს სკოტლანდის!“

ყველა

დიდება მეფეს!

საყვირების ხმა

მალკოლმი

ჩვენ გვსურს ახლავე, გულითადი მადლობა გიძღვნათ!
და სიყვარულზე გიპასუხოთ სიყვარულითვე.
ამიერიდან, დიდებულო ჩემო თენებო,
მინდა გიბოძოთ თქვენ გრაფობა! სკოტლანდისთვის
ახალი განლაგეთ ეს ტიტული. საქმე ბევრი გვაქვს!
უნდა დაბრუნდნენ ლტოლვილები, უკლებლივ ყველა,
ვინც კი დატოვა ეს ქვეყანა, რათა ტირანის
უღმობელ კლანტებს გაქცეოდა! ხელისუფლებას
ჩამოვაცილოთ ის პირები, ვინც გვერდით ედგა
ყასაბ მეფეს და, იმ საზარელ ურჩხულ დედოფალს!
რომელმაც, თურმე, თავის ხელით მოიკლა თავი!

ჩვენ აღვასრულებთ ყოველივეს, რაც დაგვეკისრა!
რადგან უფალი ჩვენთან არის! ახლა კი ისევ,
მადლობა ყველას და ცალ-ცალკე თითოეულსაც!
სკონში მობრძანდით, ნახეთ ჩვენი მეფედ კურთხევა!
საყვირების ხმა. გადიან.